



18 აპრილი, 2017



სამუშაო, №4 (2206)

იტალიის ხარში გოლუბი სწორედ თსუ-ს ფუტსალის კლუბის აღზრდილებმა გაიბანეს

საქართველოს ფუტსალის ეროვნული ნაკრები იტალიასთან ფრედ დასრულებული მატჩის შემდეგ ევრო 2018-ის პლეიოფში გავიდა.

მადლობას ვუხდით სამწვრთნელო შტაბს და მოთამაშეებს იმ თავდადებისთვის და მონდომებისთვის, რაც 11 აპრილს თბილისის ოლიმპიურ სასახლეში შეკრებილმა გულშემატკივარმა იხილა.

ჩვენთვის განსაკუთრებით საამაუოა ის ფაქტი, რომ იტალიის კარში გოლუბი სწორედ თსუ-ს ფუტსალის კლუბის აღზრდილებმა გაიტანეს. ვულოცავთ მათ და სრულიად საქართველოს ამ ისტორიულ გამარჯვებას და ვუსურვებთ წარმატებას შემდგომ ეტაპზე.



დასაქმების ფორუმი თსუ-ში ახალი შეთავაზებები და ჯონსულტინგები დასაქმების მსურველთათვის



მსოფლიოში ახალი და კვალიფიციური კადრების მოქიანის ერთ-ერთი აპრობირებული მეთოდია დასაქმების ფორუმი, რომელსაც კერძო კომპანიები, საჯარო უწყებები და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები წელიწადში რამდენჯერმე მართავენ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც, გოლო წლებია, ამგვარი ფორუმებისთვის ღიაა და საკუთარ სტუდენტებს და პურსდამთავრებულებს შრომით გაზარდა ორიენტაციაში ეხმარება.

4 აპრილს უნივერსიტეტში 70-ზე მეტმა პოტენციურმა დამსაქმებელმა (42 კერძო და 25-ზე მეტი საჯარო დაწესებულება) მოიყარა თავი. ფორუმის მონაწილე დამსაქმებლები წარმოადგინეს საბანკო და საფინანსო, დაზღვევის, სამედიცინო და ფარმაცევტულ სფეროებს, მსხვილ სავაჭრო და სადისტრიბუციო ქსელებს, მომსახურებისა და ტურიზმის სფეროებს, სხვადასხვა პროფილის საკონსულტაციო და კვლევით ორგანიზაციებს.

კერძო კომპანიების გარდა, ღონისძიებაზე წარმოდგენილნი იყვნენ საჯარო სფეროს დამსაქმებლებიც: სამინისტროები და სხვა საჯარო სამსახურები მათდამი დაქვემდებარებულ სტრუქტურებთან ერთად.

83. 3

ქართული ენის აპირაული

■ 1978 წლის 14 აპრილის დემონსტრაცია ამერიკული პრესის ფურცლებზე 83. 5

■ უცხოეთის ქართველოლოგიურ ცენტრებში ქართული ენის სწავლების თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივები 83. 6

ანონსი

■ საქართველოს საელჩომ სომხეთში მისიში კონცერტების გასამართად თსუ-ს ვაჟთა ვოკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლები მიიწვია ერევნის უნივერსიტეტში. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოლაპარაკება კონცერტების დეტალებთან დაკავშირებით.

■ 15 მაისს უნივერსიტეტის გოგონათა ანსამბლი „თსუ გორდელა“ 10 წლის ხდება. იუბილესთან დაკავშირებით ამ დღეს დაგეგმილია ანსამბლის კონცერტი რუსთაველის თეატრში. კონცერტის მხარდამჭერები არიან თბილისის მერია და საქართველოს კულტურის პალატა.

■ საფრანგეთში ქართული სათვისტომოს მიერ ანსამბლი „თსუ გორდელა“ 18-23 მაისს მიწვეულია საფრანგეთში, ქ. პარიზში კონცერტების გასამართად.



ანსამბლი „თსუ გორდელა“

ნომერში

■ რა იწვევს აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვების რაოდენობის ზრდას? 83. 4

■ გიორგი ახვლედიანი - 130 83. 7

სეზარ-მთიანი 83. 8-9

■ სამეაროს გარდაქმნის ახალი მიზნები - 2030 83. 11

■ ახალ გამოცემებს სამშვიდობო როლიც აქვს 83. 11

■ ქართული დემოკრატიის ისტორიული გამოცდილება 83. 12



30 წელიწადი გოაღმადი
■ გერმანელი ქართველოლოგის 80 წლის იუბილე „მშობლიურ“ საქართველოში 83. 10

■ სტუდენტური პროექტების დაფინანსების განმსაზღვრელი საბჭო, ამ ეტაპზე, 49 პროექტს დააფინანსებს 83. 2

II ეტაპი

სამეცნიერო პროექტების მიღება უწყვეტ რეჟიმში გრძელდება. ხოლო საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული პროექტების მიღების მეორე ეტაპი უკვე დაიწყო და 30 აპრილამდე გასტანს.

I ეტაპი

დაფინანსდა 15 სამეცნიერო პროექტი

სულ: 63 პროექტი

დაფინანსდა 34 საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული ხასიათის პროექტი



სტუდენტური პროექტების დაფინანსების განმსაზღვრელი საბჭო, ამ ეტაპზე, 49 პროექტს დააფინანსებს

„აუდიტორია 115“-ის შეხვედრა მიხეილ ჩხენკელთან

ნატო ობოლაძე

თსუ-ს სტუდენტური პროექტების დაფინანსების განმსაზღვრელი საბჭოს ხელმძღვანელი, ვიცე-რექტორი მიხეილ ჩხენკელი „აუდიტორია 115“-ის წევრებს შეხვდა. მიხეილ ჩხენკელმა პირადად გააცნო სტუდენტებს პროექტების შესარჩევი კონკურსის წესები, გაუწია რეკომენდაციები წარსადგენი პროექტების სწორად ფორმულირებისთვის, უპასუხა იმ სპეციფიკურ კითხვებს, რომლებიც სტუდენტებს კონკურსში მონაწილეობის დროს გაუჩნდათ.

ამ დროისთვის უკვე ცნობილია სტუდენტური პროექტების დასაფინანსებელი კონკურსის პირველი ეტაპის შედეგები. სტუდენტური პროექტების დაფინანსების განმსაზღვრელმა საბჭომ 63 საპროექტო წინადადება განიხილა, მათ შორის, 18 – სამეცნიერო-კვლევითი პროექტი და 45 – საგანმანათლებლო/კულტურული/სპორტული პროექტი. წარდგენილი სამეცნიერო პროექტებიდან 15 დაფინანსდა; საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული პროექტებიდან – 34.

სამეცნიერო პროექტების მიღება უწყვეტ რეჟიმში გრძელდება. ხოლო საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული პროექტების მიღების მეორე ეტაპი უკვე დაიწყო და 30 აპრილამდე გასტანს.

იმ პროექტთა ავტორებს, რომელთაც ვერ მიიღეს დაფინანსება, მიეცათ რეკომენდაციები და შესაძლებლობა, რომ პროექტები წარმოადგინონ შემდგომ ეტაპზე.

„თსუ-ს ისტორიაში სტუდენტური პროექტების დაფინანსების ასეთი მეთოდი პირველად დაფიქსირდა. სტუდენტებს აინტერესებდათ სპეციფიკური დეტალები: ერთია, როდესაც საბჭოს ფუნქციონირების შესახებ კითხულობ და მეორეა, როდესაც საუბრობ და თითოეულ დეტალს უღრმავდები; სწორედ აქედან გამომდინარე შედგა ეს შეხვედრა. პირველ ეტაპზე წარმოდგენილი სტუდენტური პროექტების სპექტრი საკმაოდ მრავალფეროვანია“, – აღნიშნა მიხეილ ჩხენკელმა.

თსუ-ს ვიცე-რექტორი „აუდიტორია 115“-ს 10 აპრილს შეხვდა. შეხვედრაზე სტუდენტებმა დასვეს კითხვები, ზოგადად, სტუდენტური პროექტებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტისა და, ასევე, თითოეული პროექტისთვის განსაზღვრული დაფინანსების ზედა ზღვრის შესახებ; დაინტერესდნენ პროექტების შესარჩევი კონკურსის ვადებით; საზღ-



მიხეილ ჩხენკელი

ვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტში, გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, გამგზავრების შემთხვევაში დაფინანსების მიღებით და ა.შ. მიხეილ ჩხენკელმა განმარტა, რომ სტუდენტური სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დასაფინანსებლად თსუ-ს 2017 წლის ბიუჯეტში 600 000 ლარია გამოყოფილი; კულტურულ, საგანმანათლებლო და სპორტული პროექტებისთვის კი – 180 000 ლარი.

„თითოეული სამეცნიერო-კვლევითი პროექტისთვის წელს ზედა ზღვარი გამოიზნულად არ დაწესდა, თუმცა პროექტის ბიუჯეტი გონივრულ თანხას უნდა ითვალისწინებდეს და გაწერილი სამუშაო გეგმის ადეკვატური უნდა იყოს. სამეცნიერო-კვლევითი პროექტების წარდგენა უწყვეტ რეჟიმშია შესაძლებელი. საკონკურსო საბჭო მათ გან-



ხილვას მას შემდეგ იწყებს, რაც წარდგენილი განაცხადების რაოდენობა, დაახლოებით, 10-ს მიაღწევს. სტუდენტური პროექტების დაფინანსების განმსაზღვრელი საბჭო სტუდენტების საზღვარგარეთ მგზავრობის ხარჯებს მხოლოდ იმ შემთხვევაში აანაზღაურებს, თუ სტუდენტური სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შემადგენელი ნაწილი იქნება“, – აღნიშნა მიხეილ ჩხენკელმა.

„აუდიტორია 115“ სტუდენტური პროექტების დაფინანსების განმსაზღვრელი საბჭოს მუშაობას დადებითად აფასებს

„აუდიტორია 115“ სტუდენტური პროექტების დაფინანსების განმსაზღვრელი საბჭოს მუშაობას დადებითად აფასებს. მათი განცხადებით, ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც უნივერსიტეტის მატერიალურ-ფინანსურ რესურსებზე ყველა სტუდენტს თანაბარი წვდომა აქვს.

„სტუდენტების ნაწილს დიდი სურვილი ჰქონდათ კონკურსში მონაწილეობა მიეღოთ, თუმცა დეტალურად არ იცნობდნენ გზებს. ჩვენ მივმართეთ

საბჭოს ხელმძღვანელს, რათა თავად აეხსნა პროცედურული საკითხები, ეპასუხა სპეციფიკურ კითხვებზე. ეს არის ჩანსადი პროცესი, რომელშიც სტუდენტობა და ადმინისტრაცია ერთდროულად არის ჩართული.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებდა არასწორი რეგულაციები, რის გამოც სტუდენტობის დიდი ნაწილი ვერ ახერხებდა პროექტების განხორციელებას. დღეს ეს ხარვეზი აღმოფხვრილია, რაც გახლავთ სტუდენტური ცხოვრებისა და მეცნიერების განვითარების ფუნდამენტური საწინდარი“, – აღნიშნა „აუდიტორია 115“-ის წევრმა გიორგი ჯავახიძემ.

„აუდიტორია 115“ პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტთან მოლაპარაკების დაწყებას გეგმავს, რომ სტუდენტური პროექტების დაფინანსების საბჭოს ინსტიტუტი, რომელიც თსუ-შია, სხვა უმაღლეს სასწავლებლებშიც ამოქმედდეს.

რატომ შეწყდა საუნივერსიტეტო მიზნობრივი სამეცნიერო პროექტების განხორციელება?

შეხვედრის დასრულების შემდეგ ვიცე-რექტორმა განმარტა, თუ რატომ შეწყდა საუნივერსიტეტო მიზნობრივი სამეცნიერო პროექტების განხორციელება: „ჩვენი აკადემიური პერსონალი არის როგორც ლექტორი, ასევე მეცნიერი, მისი ხელფასი ითვალისწინებს როგორც მკვლევის, ასევე ლექტორის საქმიანობის განხორციელებას“, – აღნიშნა მიხეილ ჩხენკელმა. მისი ინფორმაციით, უკვე დაწყებულია სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ინტეგრაცია, ტარდება ყოველკვირეული სამეცნიერო-კვლევითი სემინარები განათლებისა და ფსიქოლოგიის მეცნიერებათა და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტებზე. ანალოგიური სემინარების ციკლი იწყება სხვა მიმართულებებზეც.

ინტეგრაციის მეორე ეტაპზე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერ-თანამშრომლებს დოქტორანტების ხელმძღვანელობის უფლება მიეცემათ, ასევე, შექმნა სილაბუსების მომზადება და ახალი არჩევითი საგნების შემოთავაზება.

სტივენდები და სტაჟირება საზღვარგარეთ – „განათლების საერთაშორისო გამოფენა თბილისი 2017“

საგანმანათლებლო-საკონსულტაციო ორგანიზაცია Edu-Guide.Ge გეპატიუებათ „განათლების საერთაშორისო გამოფენა თბილისი 2017“-ზე.

ლუბი, რომლებიც დაინტერესებულ პირებს გააცნობენ თავის პროგრამებს და შეთავაზებებს.

განათლების საერთაშორისო გამოფენაზე დასწრება თავისუფალია!

დარეგისტრირდით: <https://goo.gl/ArJxEo>

თარიღი: 23 აპრილი, კვირა.

მისამართი: სასტუმრო Holiday Inn თბილისი, 26 მაისის მოედანი N1, თბილისი 0171

დრო: 12⁰⁰-დან 18⁰⁰ საათამდე

განათლების საერთაშორისო გამოფენა
23 აპრილი
დრო: 12:00-18:00
მის: სასტუმრო Holiday Inn Tbilisi
დასწრება თავისუფალია

დარეგისტრირდით



დასაქმების ფორუმი თსუ-ში

ახალი შეთავაზებები და კონსულტაციები დასაქმების მსურველთათვის



1-ლი გვერდიდან

ბაია ტორაძე

ლონისძიება გახსნა და სტუდენტებს, კურსდამთავრებულებსა და დამსაქმებლებს მიესალმა თსუ-ს რექტორის მოადგილე მიხეილ ჩხენკელი, რომელმაც აღნიშნა, რომ ამგვარი ღონისძიებები ტრადიციულია და მომავალშიც ჩატარდება. „ძალიან კარგია, რომ წლიდან წლამდე ფორუმს მეტი დამსაქმებელი ემატება. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დამსაქმებლებს შევთავაზო უნივერსიტეტთან თანამშრომლობის ახალი ფორმა – კერძოდ, ჩვენი სურვილია, რომ ისინი აქტიურად ჩაერთონ აკადემიურ თანამშრომლობაში სილაბუსების დონეზე. გვინდა, თავად თქვენ II რა არის ის უნარ-ჩვევები, რომელიც ჩვენს კურსდამთავრებულებს უნდა ჰქონდეთ, რომ მათი დასაქმების მაჩვენებლები გაიზარდოს. თუ ასეთი ფორმით თანამშრომლობის სურვილი იქნება, ჩვენ ამას მივესალმებით“, – აღნიშნა მან.



სამედიცინო ცენტრ „ციტოს“ HR მენეჯერის მარიამ მჭედლიძის თქმით, განსაკუთრებით ელოდებიან ბიოლოგიის მიმართულების სტუდენტებს, რადგან „ციტოს“ სამედიცინო მომსახურების სფეროა და ისინი, სტაჟირებისა და ვაკანსიებისთვის ექთნებთან ერთად, მომავალ ლაბორანტებსა და მიმღების ოპერატორებს ელიან. „ჩვენ სტუდენტებთან აქტიურად ვთანამშრომლობთ, განსაკუთრებით ვინტერესდებით ბიოლოგიის ფაკულტეტის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებითა და ახალ-კურსდამთავრებულებით. მათ ვთავაზობთ სტაჟირებას ლაბორატორიებში და მიმღებში, რათა დაიწყონ თავიანთი კარიერა ჩვენს სამედიცინო ცენტრში. უოველთვის გვყავს სტაჟიორები, მაგრამ, დატვირთული რეჟიმის გამო, სტუდენტებს უჭირთ სწავლისთვის მუშაობის შეთავსება. მიუხედავად ამისა, ჩვენ ღია ვართ და, თუ მონდომებული ახალგაზრდაა, ანგარიშს ვუწვევთ და ხელს ვუწყობთ დასაქმებაში“, – აღნიშნა მან.

ბრივი შეზღუდვა არ აქვთ, უბრალოდ, აქ დასაქმების მსურველი უნდა იყოს მოტივირებული და აქტიური ადამიანი, რომლის რეალური დასაქმების შანსი ორგანიზაციაში ძალიან დიდია; „ჩვენ გასაუბრებაზე კონკრეტულად არაფერს ვითხოვთ. თუ გვჭირდება რომელიმე სპეციფიკური განათლება, ვთქვათ სამედიცინო, მათ ვინიშნავთ, ვიბარებთ ჩვენთან და ვიყენებთ შემდგომ საქმიანობაში იმ მიმართულებით, სადაც ის სპეციალობა არის საჭირო. მინიმუმ 20 ადამიანის აყვანის რესურსი გვაქვს როგორც დასაქმების, ასევე სტაჟირების პროგრამაზე“, – აღნიშნა მან.

ასევე კონკრეტული მიმართულების სპეციალისტების სტაჟირებას სთავაზობდა სტუდენტებს საერთაშორისო აუდიტორული და საკონსულტაციო კომპანია KPMG Georgia. როგორც ამ ორგანიზაციის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსმა ანა გოცირიძემ განაცხადა, ისინი კადრებს საგადასახადო და აუდიტის დეპარტამენტებისთვის ეძებდნენ. „ჩვენ ძირითადად ვეძებთ სტუდენტებს ფინანსების განხრით სტაჟირებისთვის საგადასახადო და აუდიტის დეპარტამენტებში. მათთვის გვაქვს 6-თვიანი სტაჟირება და, თუ კარგად გაართმევენ თავს დაკისრებულ მოვალეობას, ავტომატურად გადავლენ ასისტენტის პოზიციაზე. დაახლოებით 10 ადამიანის აყვანას ვგეგმავთ ზაფხულისთვის და გაგვიზარდება, თუ ათივეს დღეს შევარჩევთ“, – აღნიშნა მან და კითხვაზე, თუ რა ცოდნით მიდიან მათთან კურსდამთავრებულები და რას ითხოვენ ისინი საწყის ეტაპზე, გვიპასუხა, რომ განსაკუთრებული მოთხოვნა არ აქვთ, თუმცა ფინანსების მიმართულებით სამუშაოს მძებნელმა საწყისი ბუღალტერია მაინც უნდა იცოდეს: „ჩვენ, ძირითადად, პრაქტიკულ ცოდნას ვითხოვთ – როგორც წესი, IV კურსიდან ავყავს სტაჟიორები და, რაც აქვთ ნასწავლი, იმ პროგრამიდან საწყისი ბუღალტერიის ცოდნა გვჭირდება, რათა ეს ცოდნა პრაქტიკით გააღრმავონ. ამისთვის ვატარებთ ტესტირებებს, რომელიც, ძირითადად, საუნივერსიტეტო პროგრამაზეა მორგებული. გარდა ამისა, დასაქმების მსურველმა ზუსტად უნდა იცოდეს, რა პროფესიას გაჰყვება. ზოგჯერ ისე ხდება, რომ სტუდენტმა არ იცის, რა მიმართულებას უნდა გაღრმავება. არადა, ეს უკვე გასაუბრებაზე უნდა იცოდეს“, – განაცხადა მან.

რაც შეეხება საჯარო დაწესებულებებს, აქ საკითხი უფრო სხვაგვარად დგას. იმის გამო, რომ ამ ტიპის დაწესებულებებში სტაჟირებაც და დასაქმებაც მხოლოდ კონკურსის საფუძველზე ხდება, დამსაქმებლები, ძირითადად, იმ ნიუანსებზე აკეთებდნენ აქცენტს, რაც საჯარო სამსახურში მუშაობის დაწყების მსურველებმა უნდა იცოდნენ. კერძოდ, ბევრისთვის სიახლე იყო ის, რომ არსებობს საიტები <https://www.hr.gov.ge> და <https://www.stajireba.gov.ge>, რომელთა მეშვეობითაც სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს შეუძლიათ თვალს ადევნონ გამოცხადებულ კონკურსებს და ვაკანსიებს. „ეს ფორუმი ძალიან მნიშვნელოვანია ინფორმაციის გავრცელების თვალსაზრისითაც, როგორც აღმოჩნდა, ახალგაზრდების ძალიან დიდმა ნაწილმა, რომელიც ჩვენთან მოვიდნენ გასაუბრებაზე, არ იცოდნენ საჯარო სამსახურის ბიუროს საიტის შესახებ, სადაც თავმოყრილია ყველა ის ვაკანსია და კვალიფიკაციის მოთხოვნები, რაც ამ სტრუქტურებში დასაქმების მსურველებმა უნდა იცოდნენ. ჩვენ დღეს თითქმის მთელი დღის განმავლობაში უამრავი ახალგაზრდა დავაკვალიანეთ და ავუსხენით, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროში (მათ შორის, დიპლომატიურ სამსახურშიც) დასაქმება, თუ ისინი მოთხოვნებს აკმაყოფილებენ, სრულიად რეალურია. მთავარია, მუდმივად ადევნონ თვალს ვაკანსიებს და მოთხოვნებს“, – გვითხრა საგარეო სამინისტროს წარმომადგენელმა ნონა ხვადაგიანმა.

სტაჟიორების აყვანის სურვილი განაცხადეს ასევე რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის წარმომადგენლებმაც. საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურის უფროსის თათია მუჟაგანაძის თქმით, ფონდს კარგი პრაქტიკა აქვს წარმატებული სტაჟიორების დასაქმების კუთხით და იმედი გამოთქვა, რომ ამ კონკრეტულ ფორუმზეც მოიძებნება მოტივირებული ახალგაზრდა, რომელსაც პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაღრმავების შემდეგ სიმოვნებით დასაქმებენ: „რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი არის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სხივი. ჩვენ წელიწადში რამდენჯერმე ვაცხადებთ სტაჟიორების მიღებას დამოუკიდებლად, როგორც ფონდი. გარდა ამისა, <https://www.hr.gov.ge> (საჯარო სამსახურის

არსებობს საიტები <https://www.hr.gov.ge> და <https://www.stajireba.gov.ge>, რომელთა მეშვეობითაც სტუდენტებს და ახალგაზრდაებს შეუძლიათ თვალს ადევნონ გამოცხადებულ კონკურსებს და ვაკანსიებს.

ბიურო) საიტზე აცხადებს სტაჟიორების მიღებას სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.

ბოლო სამი წლის განმავლობაში საკმაოდ ბევრი სტუდენტი ავიყვანეთ სტაჟიორებად. გარკვეული დროის შემდეგ ისინი ფონდში დარჩნენ სამუშაოდ. ამის მაგალითად, გვარებიც შემოიღია გითხრათ: ანა გოგუაძე, თორნიკე სხირტლაძე, ცოტნე იაშვილი, ნოდარ კლაძე, ვახტანგ ჩქარაული და ნინო სუდაძე ფონდის სხვადასხვა დეპარტამენტშია დასაქმებული. მათი უმრავლესობა თსუ-ის კურსდამთავრებულია“, – აღნიშნა მან.

რას აღნიშნავდნენ გასაუბრების შემდეგ სტუდენტები

ფორუმით ათასობით სტუდენტი და კურსდამთავრებული დაინტერესდა, მათ შორის იყვნენ თსუ-ს ყველა ფაკულტეტის წარმომადგენლები. უმეტესობა გასაუბრების შემდეგ აღნიშნავდა, რომ ფორუმი კარგად ორგანიზებული იყო და იმედი გამოთქვას, რომ მათი ანკეტებით დაინტერესდებიან.

მარიამ ჩიქოვანი,
თსუ-ს ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების II კურსის სტუდენტი:

– ფორუმის შესახებ გაცივებ ტექსტური შეტყობინების მეშვეობით და დავინტერესდი. ვიყავი გასაუბრებაზე „ვენდისის“ და „დანკინ დონატის“ კომპანიების წარმომადგენლებთან. ძირითადად მკითხეს, რა გამოცდილება მქონდა და როგორ მოვახერხებდი სასწავლო და სამუშაო საათების შეთავსებას. კმაყოფილი ვარ. ვფიქრობ, ასეთი ფორუმები საჭიროა სტუდენტებისთვის, რომელთა უმეტესი ნაწილი ჩამოსულია და სამუშაო სჭირდებათ, რომ თავი იჩინონ.

გიორგი ჯამბურია,
თსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულების სტუდენტი:

– ვიყავი სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკურ ცენტრ „დელტას“ წარმომადგენლებთან, ასევე დავინტერესდი სასტუმრო „ჰოლიდეი ინ“-ით და სადაზღვევო კომპანია „ალდაგით“. მკითხეს, რა დონეზე ვიცოდი ინფლისური და რა სამუშაო გამოცდილება მქონდა. ვფიქრობ, ეს კარგი ღონისძიებაა, მაგრამ თუ ხშირად გაიმართება და არა წელიწადში ერთხელ, უფრო მეტი შედეგი ექნება და მეტი სტუდენტი დაინტერესდება.



დასაქმების ფორუმი თსუ-ში

ახალი შეთავაზებები და კონსულტაციები დასაქმების მსურველთათვის

მე-3 გვერდიდან

ირაკლი თავაძე,

თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების სტუდენტი:

– წელს უფრო ბევრი კომპანიაა წარმოდგენილი, ვიდრე შარშან იყო. ღონისძიებაც უფრო ორგანიზებულია. პირადად მე 8 კომპანიაში დავტოვე ჩემი რეზიუმე. მომავალში სასურველი იქნება, თუ ფორუმზე უფრო მეტი ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით მომუშავე ორგანიზაცია იქნება წარმოდგენილი.

ფორუმზე ისეთი კურსდამთავრებულებიც აღმოვაჩინეთ, რომლებიც სწორედ შარშანდელი ფორუმის შედეგად დასაქმდნენ და წელს უკვე თავად არჩევდნენ ახალ კადრებს, მაგალითად, სამედიცინო ცენტრ „ციტოშია“ დღეს დასაქმებული ლელა ღამბაშიძე. „ზუსტად ერთი წლის წინ ვიყავი ამ ფორუმზე უნივერსიტეტში. აქედან ამიყვანეს „ჰი პი აი ჰოლდინგში“ და წელს უკვე თავად ვარჩევ ახალ კადრებს. ეს კარგი შანსია სტუდენტისა და კურსდამთავრებულისთვის, რომ დასაქმების ბაზარზე თავი დაიმკვიდროს“, – გვითხრა მან.

სტუდენტების მხრიდან მოტივირებულობისა და მიზანდასახულობის აუცილებლობაზე გვესაუბრა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი სალომე ქარელი, რომელმაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2013 წელს დაამთავრა: „მეც სტაჟირება გავიარე – ძალიან ბევრგან მოვსინჯე ძალები: 16 წლიდან ვმუშაობდი (სტატიებს ვწერდი) და ვსწავლობდი თსუ-ის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით. სტატიების წერამ გამოცდილება უფრო უზრუნველყოფს მიმართულებით დამიგრავა... მე რეალურად ვიყავი „მე-სტრუქტურაში“ დავიწყე კონკურსის საფუძველზე მუშაობა, შემდეგ კი, გადავწყვიტე საჯარო სივრცეში მეცადა ძალები. ასე ვაგზავნიდი მეც რეზიუმეებს და სამოტივაციო წერილებს სხვადასხვა ორგანიზაციაში. ბევრი უარიც მივიღე, მაგრამ უარმა მოტივაცია არ უნდა დაგკარგოს. ბოლოს ამ ორგანიზაციაში გავიარე კონკურსი და დავსაქმდი. ასე რომ, ეს არ არის ფორუმი ფორუმისთვის, აქ რეალურად ადამიანებმა სტაჟირება გაიარონ და შემდეგ უკვე დასაქმდნენ სპეციალობით“, – აღნიშნა მან.



მიხეილ ჩხენაილი; მე გავახიანე ჩვენი ინიციატივა, რომ დასაქმებულები უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში სილაბუსების დონაზე ჩართონ. ამას გარდა, გვაქვს ინიციატივა, რომ შვიდწლიან საერთაშორისო პროგრამაში, რომელიც ბაზარზე, რაც საბაზო რთული პროცესია, მაგრამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ამის გააძლიერება შეუძლია. ეს ახლავს გამოადგება ჩვენს ახარებას და სტუდენტებს, რადგან ამ უკვე ახლოდინებით, რომელ სპეციალობაში რა ახალი ფილტვის ჯაღრების საჭიროებაა.

მსოფლიოში აპრობირებული ეს მეთოდი დასაქმების მსურველთათვის საქართველოშიც იკიდებს ფეხს

ფორუმის დასკვნით ეტაპზე მისი შეფასება ვთხოვეთ ორგანიზატორს, თსუ-ის სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელს ბათუნა ცხადაძეს, რომელმაც აღნიშნა, რომ ღონისძიება წარმატებული იყო, რადგან მასში მონაწილეობა მიიღო 70-ზე მეტმა კომპანიამ, ხოლო რაც შეეხება დასაქმებას, ამას უკვე დრო აჩვენებს: „მეორედ ტარდება ასეთი მასშტაბური ღონისძიება, მაგრამ დამსაქმებულების

რაოდენობა წელს გაცილებით წარმოდგენილი იქნა. 42 კერძო კერძო და 25-ზე მეტი საჯარო დამსაქმებელია წარმოდგენილი სამინისტროებისა და მათდამი დაქვემდებარებული სისპ-ების სახით. ჩვენ მაქსიმალურად შევცადეთ ამის შესახებ ინფორმაცია მიგვეწვდინა სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის. დასაქმების ფორუმი არის ერთ-ერთი ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულებებში შეიძლება შესთავაზოს თავის სტუდენტებს. ეს არ არის მყისიერი შედეგებზე გათვლილი ღონისძიება, ის ითვალისწინებს საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში შესაძლებლობების შექმნას. ფორუმმა კარგად ჩაიარა, თუმცა ვაკვირდებით და ვფიქრობთ, როგორ გავაძლიეროთ კიდევ მომავლისთვის უკეთესი ორგანიზება. ჩვენი მიზანია, დამსაქმებულებსაც და სტუდენტებსაც ჰქონდეთ ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლის შესაძლებლობა, რომ შექმნათ წარმოდგენა – რას ითხოვენ დამსაქმებლები და,

პირიქით, დამსაქმებლებმა ნახონ, რა ტიპის სტუდენტები აქტიურობენ. გვინდა ისე გავაკეთოთ, რომ გაისად მეტი სტუდენტი დაინტერესდეს ასეთი ფორუმებით“, – განაცხადა მან.

ფორუმი შეაფასა და წარმატებული ღონისძიება უწოდა თსუ-ის რექტორის მოადგილემ მიხეილ ჩხენკელმა. მისი თქმით, მსოფლიოში აპრობირებული ეს მეთოდი დასაქმების მსურველთათვის საქართველოშიც იკიდებს ფეხს და იძლევა იმედს, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები მეტად დაუახლოვდნენ შრომის ბაზარს: „ზოგადი განათლება, თეორიული ცოდნა ძალიან მნიშვნელოვანია განათლებული პირების ჩამოყალიბებისთვის, მაგრამ, ასევე აუცილებელია, რომ ჩვენი პროგრამები დაუახლოვდეს შრომით ბაზარს და კურსდამთავრებულებს ჰქონდეთ ის უნარ-ჩვევები, რომელიც დასაქმებას გაუადვილებს. საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ ამგვარი ფორუმები ხელს უწყობს კვალიფიციური კადრების მოძიებას. ევროპაში რეგულარულად ტარდებიან ასეთი ფორუმები, სადაც სტუდენტები პირველად გასაუბრებას უნივერსიტეტებშივე გადიან. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ადრეც ტარდებოდა ასეთი რამ და ვიცით კონკრეტული სტუდენტები, რომლებმაც ფორუმის შემდეგ გაიარეს სტაჟირება. მათ შორის ზოგიერთი დასაქმდა კიდევ. ამგვარი ღონისძიება მნიშვნელოვანია როგორც ჩვენი სტუდენტებისთვის ასევე დამსაქმებულებისთვისაც, რადგან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის კადრების მთავარი სამჭედლო საქართველოში და მათაც სჭირდებათ კვალიფიციური კადრების შერჩევა.

ფორუმის გახსნაზე მე გავახიანე ჩვენი ინიციატივა, რომ დამსაქმებლები უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში სილაბუსების დონეზე ჩაერთონ. ამას გარდა, გვაქვს ინიციატივა, რომ შევისწავლოთ საქართველოს შრომითი ბაზარი, რაც საკმაოდ რთული პროცესია, მაგრამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ამის გაკეთება შეუძლია. ეს კვლევა გამოადგება ჩვენს კურსდამთავრებულებს და სტუდენტებს, რადგან მათ უკვე ეცოდინებათ, რომელ სეგმენტში რა კვალიფიციის კადრების საჭიროებაა. როცა გვეცოდინება, ბაზარი რას ითხოვს, შეგვეძლება მოვამზადოთ სტუდენტი ისე, რომ მას გაუადვილდეს დასაქმება“, – აღნიშნა მიხეილ ჩხენკელმა ჩვენთან საუბრისას. დასაქმების ფორუმი 2017 სტუდენტებს დაემზიდა და მომავალ წელს კიდევ უფრო მასშტაბური წარმოდგენილობით დაბრუნდება.

დისკუსია



რა ინვესსია უბიბური სპექტრის აზლილობის მქონე ბავშვების რაოდენობის ზრდას?

ნატო ობოლაძე

სუტიზმის ცნობადობის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით თსუ-ს განათლებისა და ფსიქოლოგიის მეცნიერებათა ფაკულტეტზე საჯარო დისკუსია მოეწყო. სპეციალისტებმა, სტუდენტებმა და აუტიზმის მქონე ბავშვების მშობლებმა აუტიზმთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები განიხილეს – კომპიუტერული ტექნიკა და უცხოენოვანი მულტიმედია გავლენა კომუნიკაციის განვითარებაზე; აუტიზმის სპექტრის აზლილობის გავრცელების მომენტების მიხედვით; აუტიზმის სპექტრის აზლილობის შესაფასებელი დიაგნოსტიკური სირთულეები; აუტიზმის სპექტრის აზლილობის მქონე გარდატეხის ასაკისა და ზრდასრული პირების პრობლემები.

შეხვედრაზე ისაუბრეს ნეიროფსიქოლოგებმა თამარ გაგოშიძემ, მარიამ ხვადაგანიამ, შორენა მამუკაძემ და ანა ქარაულაშვილმა.

აუტიზმის ცნობადობის ამაღლების აღნიშვნის მთავარი მიზანია – გაიზარდოს აუტიზმის შესახებ ქართული სა-

ზოგადოების ინფორმირება და გადაწყვეტილების მიღება სახელისუფლებო ორგანოებისთვის ხელის შეწყობა, რათა მათ შეასრულონ საქართველოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულება – უზრუნველყონ აუტიზმის მქონე ადამიანების ფუნდამენტური უფლებების რეალიზება.

თსუ-ში გამართულ დისკუსიაზე აღინიშნა, რომ საქართველოში აუტიზტური სპექტრის აზლილობის მქონე პირებისთვის განკუთვნილი ინტერვენციის პროგრამები მხოლოდ 15 წლამდე არსებობს. ზრდასრული ასაკის ადამიანებისთვის კი არანაირი სერვისი არ მოქმედებს, რაც, თავისთავად, მათი უფლებების დარღვევაა.

„აუტიზმთან დაკავშირებით სხვადასხვა მხარის (სპეციალისტების, მშობლების, სტუდენტების) თანამშრომლობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენი მიზანია მშობლების გათვითცნობიერების ამაღლება, პროფესიონალების მოზადება და კოლეგებს შორის გამოცდილების გაზიარება. მსგავსი შეხვედრები ხელს უწყობს დიაგნოსტიკის გაუმჯობესებას, რაც საკმაოდ აქტუალური საკითხია.

უნივერსიტეტის აუტიზმის სპექტრის აზლილობის მქონე ზრდასრული ადამიანებისთვის სხვადასხვა სერვისების დანერგვა. ვფიქრობ, თუ საზოგადოება, სპეციალისტები და მშობლები ერთობლივად იმოქმედებენ და ითანამშრომლებენ, სახელმწიფო ამ მიმართულებით ეფექტურ ნაბიჯებს გადადგამს“, – განაცხადა თსუ-ს განათლებისა და ფსიქოლოგიის მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ.

სპეციალისტების ერთ-ერთი მთავარი მიზანი გახლავთ იმ ფაქტორების დაზუსტება, რამაც აუტიზტური სპექტრის აზლილობის მქონე ბავშვების რაოდენობის ზრდა გამოიწვია. ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც ნეიროფსიქოლოგების შემოფოთებას იწვევს, გახლავთ ბავშვების მცირე ასაკიდან კომპიუტერულ ტექნიკასთან ხშირი კონტაქტი, არაქართულენოვანი მულტიმედია თუ სხვა ვიდეორგოლების ყურება, რაც ბავშვთა განვითარების რეგრესსა და მათ ჩაკეტილობას ხელს უწყობს. ნეიროფსიქოლოგები გეგმავენ საინფორმაციო აქციის დაწყებას მშობლების ინფორმირების მიზნით.

განათლებისა და ფსიქოლოგიის მეცნიერებათა ფაკულტეტი გეგმავს, მსგავსი ტიპის შეხვედრები პერიოდულად გამართოს და პროფესიონალებთან, სტუდენტებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან ერთად იმსჯელოს აქტუალურ საკითხებზე, მოიცვას ყველა მხარე, რომელიც აუტიზმის მკურნალობის მნიშვნელოვანია – საზოგადოება, მშობლები, სპეციალისტები და მომავალი სპეციალისტები.

აუტიზმის ცნობადობის ამაღლების მსოფლიო დღე 2 აპრილს გაეროს გენერალური ასამბლეის ინიციატივით 2007 წლიდან აღინიშნება. აუტიზმის სიმპტომები და მახასიათებლები შეიძლება სხვადასხვა კომბინაციებით გამოვლინდეს. ამჟამად აუტიზმის წამალი არ არის ცნობილი. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ შევლა შეუძლებელია. აუტიზმით დაავადებულთა მკურნალობის პროცესში მნიშვნელოვანია საზოგადოების ინფორმირება იმ აქცენტითაც, რომ აუტიზტური აზლილობის სპექტრის მქონე ადამიანებს ხშირად შეუძლიათ კონკრეტულ სფეროში დიდ წარმატებას მიაღწიონ და რომ არ მოახდინონ აუტიზტა დისკრედიტაცია.



ქართული ენის აკრიკული

1978 წლის 14 აპრილის დემონსტრაცია ამერიკული პრესის ფურცლებზე

საჯარო ლექცია და ახალი ფაქტები

თამარ ლალიანი

საქართველოს ისტორიაში 14 აპრილი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თარიღია. ეს დღე „დედაენის დღედ“ იწოდება. 1978 წელს ქართველმა საზოგადოებამ მტკიცე წინააღმდეგობა გაუწია საბჭოთა ხელისუფლების გადაწყვეტილებას - საქართველოს კონსტიტუციიდან ამოეღო მუხლი, რომელიც ქართული სახელმწიფო ენის სტატუსს განსაზღვრავდა. ქართული კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებმა, პოლიტიკურმა დისიდენტებმა, სტუდენტებმა, საქართველოს მოსახლეობის ფართო ფენებთან ერთად მასობრივი საპროტესტო შეკრებები და გამოსვლები დაიწყეს, რომლის კულმინაციაც 14 აპრილს თბილისის უნივერსიტეტის ეზოდან მოწყობილი მსვლელობა და მრავალათასიანი მიტინგი გახდა. დაძაბული ვითარების გამო, ოფიციალური მოსკოვი იძულებული შეიქმნა - დაეთმო და კონსტიტუციაში შეიცვალა ის მუხლი, რომლის მიხედვითაც ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი ერთმეოდა.

ასეთი დიდი, გრანდიოზული საპროტესტო გამოსვლა საბჭოთა ეპოქისთვის უცხო გახლდათ, მით უფრო გამაოგნებელი იყო ის ამერიკული საზოგადოებისთვის, რომელიც ვერაფრით იკერებდა საბჭოთა სივრცეში ხალხის ღია პროტესტს და საბჭოთა ხელმძღვანელობის უკან დახევას. ამ ორ ქვეყანას შორის მიძიმე, დაძაბული ურთიერთობის მოუხედავად, ამერიკულ პრესაში მაინც იბეჭდებოდა ინფორმაცია საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ. სწორედ ეს სტატიები და მასში განხილული თემები მიმოიხილა 12 აპრილს თსუ-ს ასოცირებულმა პროფესორმა თინათინ ბოლქვაძემ, რომელმაც ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: „1978 წლის 14 აპრილის მოვლენები ამერიკულ პრესაში“. საჯარო ლექციას პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები ესწრებოდნენ.

ლექცია ეხებოდა 1978 წლის 14 აპრილს განვითარებული მოვლენების ასახვას ამერიკულ პრესაში. ეს გახუთებია აშშ-დან „New York Times“, „Chigaco Tribune“, „The Christian Science monitor“ და სხვები, ხოლო კანადური პრესიდან ტორონტოში გამოსული გახუთი „The Globe and Mail“. მომხსენებელმა, რომელიც სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა ამერიკის შეერთებული შტატებში, კონგრესის ბიბლიოთეკაში მოიხილა მასალები ამერიკული ჟურნალ-გაზეთებიდან, რომელიც საქართველოში განვითარებულ მოვლენებს აშუქებდა.

„ამ დროს საბჭოთა კავშირსა და მთელ დანარჩენ მსოფლიოს შორის მიძიმე რკინის ფარდა ეკიდა, რომელიც ინფორმაციულ ვაკუუმს ქმნიდა. ამერიკული მედიის წარმომადგენლებს ხანდახან უშუალო კონტაქტებიც კი არ ჰქავდათ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში და ისინი, ძირითადად, მოსკოვის ბიუროს თანამშრომლებთან სატელეფონო საუბრით იღებდნენ მნიშვნელოვან ინფორმაციას. საქართ-

ველოს შემთხვევაში, კომუნიკატორის როლს ხანდახან რუსულენოვანი გაზეთი „ზარია ვასტოკა“ ასრულებდა. მიუხედავად ამისა, ამერიკული პრესა ფეხდაფეხ მიჰყვებოდა აქ განვითარებულ პროცესებს და მოვლენების ანალიზს სთავაზობდა თავის მკითხველს. სწორედ ამ ანალიზის გაცნობისას ვხვდებით, თუ რა წარმოდგენა ჰქონდათ ამერიკელებს საქართველოს შესახებ, - აღნიშნა თინათინ ბოლქვაძემ, რომელმაც ლექცია ამ „წარმოდგენების“ გაცნობით დაიწყო...

პირველ სტატიას „საბჭოთა საქართველო“ („Soviet Georgia“, „The Christian Science monitor“, აგვისტო, 1981 წ.), რომელიც მომხსენებელმა წარმოადგინა, ქვესათაურად აქვს: „სადაც ყველა გლეხი თავადია“. რა თქმა უნდა, საკითხავია, საიდან გაუჩნდათ ასეთი აზრი ამერიკელებს? როგორც ჩანს, ეს აზრი მათ ქართველთა განთქმულმა მასპინძლობამ, სტუმრის სიყვარულმა და ხაზგასმულმა პატივისცემამ შეუქმნათ. ქვეყანაში, სადაც სტუმარს ასე ხვდებიან, გლეხს ვერ უწოდებ გაჭირვებულს. იქნება შთაბეჭდილება, რომ იგი თავადივით ცხოვრობს. განხილული სტატიის ავტორი ხაზს უსვამს ქართველი ხალხის მაღალ კულტურულ დონეს და ნიჭიერებას. „ყველა ქართველი ბავშვი უფრო ადრე სწავლობს ცეკვას, ვიდრე სიარულს; უფრო ადრე იწყებს სიმღერას, ვიდრე მეტყველებას და უფრო ადრე უსწავს სამსიმსან ფანდურზე, ვიდრე კოვზის მოხმარებას ისწავლიდეს“, - წერს ავტორი.

ამერიკელი ჟურნალისტების აზრით, საქართველო საბჭოთა კავშირში განსაკუთრებული ქვეყანა იყო. აქ თინათინ ბოლქვაძემ მოიხველია ამონარიდი 1979 წლის დეკემბრის „New York Times“-დან, სადაც ვკითხულობთ: „როდესაც მოსკოვიდან თბილისში ჩადიხარ, აბსოლუტურად სხვა ქვეყანაში ხვდები, რომელიც უფრო ხმელთაშუა ზღვის ქვეყანაა, ვიდრე სლავური“. სტატიის ავტორს არასწორი წარმოდგენა ჰქონია რუსული ენის გავრცელების მასშტაბებზე საქართველოში. იგი დარწმუნებული ყოფილა, რომ მხოლოდ რუსულად ლაპარაკობდა ყველა და რუსულმა ენამ ქართული ენა მთლიანად ჩაანაცვლა. ამიტომ აკვირვებდა ქუჩებსა და მაღაზიებში მოსმენილი ქართული.

მომხსენებელმა მსმენელს მოსკოვის ბიუროს ხელმძღვანელის ფრენკ სტარის სტატიაც გააცნო, რომელიც გაზეთ „Chigaco Tribune“-ში დაიბეჭდა 1970 წელს. ავტორი საქართველოს ახასიათებს, როგორც „აღმოსავლურსა და ვაჟაკურს“. ფრენკ სტარი ამ სტატიაში ქართველი ერის ტოლერანტობასაც უსვამს ხაზს და მაგალითად მასთან მოსაუბრე სომეხ ქალბატონებს იმეორებს, რომლებიც სიხარულით უყვებოდნენ ამერიკელ ჟურნალისტს თბილისში ცხოვრების ხიბლზე. ფრენკ სტარი გოცებას ვერ ფარავს, რომ ეს ქალბატონები სამ ენაზე მეტყველებდნენ და უბრალოდ რუსულად, სომხურად და ქართულად.

ამის შემდეგ პროფესორმა თინათინ ბოლქვაძემ მსმენელს ამერიკულ პრესაში 1978 წლის 14 აპრილის მოვლენების გაშუქებაზე ესაუბრა და აღნიშნა, რომ „New York Times“ ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ამ პროცესებს და უკვე მეორე დღესვე, 15 აპრილს, გამოაქვეყნა სტატია სათაურით: „საბჭოთა ქართველები ქუჩაში გამოვიდნენ სახელმწიფო ენის დასაცავად“. ამერიკელები გაოცებულნი იყვნენ ამ ფაქტით, რადგან დემონსტრაცია



თინათინ ბოლქვაძე

ისეთ დროს ხდებოდა, როცა შეზღუდული იყო სიტყვის თავისუფლება, როცა საშიშროება შეიქმნა სამხედრო მანქანის ამოქმედებისა. სტატიის ავტორი კრეიგ უიტნი განიხილავს სამ ასპექტს: როგორია რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორია, რა ფონზე ხდება დემონსტრაცია, რას ითხოვს ხალხი და რა საფრთხეები შეიძლება მოჰყოლოდა ამას. კრეიგ უიტნი ამ თემაზე სტატიას 18 აპრილსაც აქვეყნებს და იძლევა მნიშვნელოვან ინფორმაციას იმის შესახებ, რომ 14 აპრილს ორი ამერიკელი კონგრესმენი: რობერტ მაკკეი და ერიკ რეიმენი ჩამოვიდნენ საქართველოში, რომლებიც პირდაპირ ქუჩაში გაესაუბრნენ პროტესტანტებს. მათი თქმით, საპროტესტო გამოსვლების ძირითადი ორგანიზატორები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები იყვნენ.

თინათინ ბოლქვაძემ სტატიაში გაკეთებულ იმ ჩანაწერზეც ისაუბრა, სადაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ედუარდ შევარდნაძემ სიტყვით მიმართა სტუდენტებს: „შვილებო, რა გინდათ, რატომ აკეთებთ ამას?“ დემონსტრანტებმა კი წინა რიგებიდან ასეთი პასუხი დაუბრუნეს: „ჩვენ არ ვართ თქვენი შვილები!“ ანუ სტუდენტებმა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს აგრძობინეს, ჩვენს გულს ვერ მოიგებ, მთავარია ჩვენი მოთხოვნა დაკმაყოფილდესო. 14 აპრილის თემას „New York Times“ 1979 წლის დეკემბრის თვეშიც უბრუნდება. გარდა ამისა, ამ მოვლენის შესახებ წერდნენ სხვა გამოცემებიც: „Chigaco Tribune“ და კანადაში, ქალაქ ტორონტოში გამოსული გაზეთი „The Globe and Mail“. სტატიის ავტორი აღფრთოვანებულია და წერს: საბჭოეთში მასობრივი დემონსტრაციის წინაშე ხელისუფლების კაპიტულაცია ვერსად მოხდებოდა. ეს შესაძლებელი იყო მხოლოდ კავკასიაში - ლირსულ, დამოუკიდებელ რესპუბლიკაში.

თინათინ ბოლქვაძემ ასევე მიმოიხილა „New York Times“-ში გამოქვეყნებული კიდევ ერთი სტატია: „ქართული და სომხური ღირსების კონფლიქტი მოსკოვთან“, რომელიც 14 აპრილის ღამეს სომხეთში მომხდარ

ამბავს მოგვითხრობს: თბილისში გამართული 14 აპრილის დემონსტრაციით სომხეთის ხელისუფლება ისე შემინდა, რომ ღამით შეცვალეს კონსტიტუციის ის მუხლი, რომელიც სახელმწიფო ენის საკითხს ეხებოდა, აღადგინეს ძველი ვარიანტი და ისე გამოაქვეყნეს 15 აპრილს. ამგვარად, კონსტიტუციის შეცვლილი მუხლი პირვანდელი სახით გამოქვეყნდა. სტატიის ავტორი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მხოლოდ ქართველებმა გააპროტესტეს სახელმწიფო ენის სტატუსის შელახვის მცდელობა, რასაც მოჰყვა საოცარი შედეგი: სომხეთისა და აზერბაიჯანის კონსტიტუციებშიც აღდგა ძველი სახით სახელმწიფო ენის მუხლი და ამან საბჭოეთი იხსნა სერიოზული სახალხო მღელვარებისგან. თუმცა საქართველოს კონსტიტუციის ამავე მუხლში პირველად გაჩნდა რუსული ენა, რომლის გამოყენებაც შეუზღუდავად შეიძლებოდა მთელი რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

1979 წლის 21 დეკემბერს „New York Times“-ში გამოქვეყნებული სტატია - „ქართველებს კვლავ აღლევებთ ენობრივი უფლებები“ - აშუქებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენებს. როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს: დაიწყო ახალი შეტევა ქართულ ენაზე. ხმა დაირბა, რომ უნივერსიტეტში ძირითადი საგნები: კომუნისტური პარტიის ისტორია, ისტორიული მატერიალიზმი, დიალექტიკური მატერიალიზმი, პოლიტიკური ეკონომიკის საფუძვლები და სამართალი რუსულად უნდა ისწავლებოდეს. როგორც ავტორი გადმოგვცემს, უნივერსიტეტის მაშინდელმა რექტორმა დავით ჩხიკვიშვილმა ეს საკითხი ვერ განიხილა, რადგან დამადასტურებელი დოკუმენტი არ არსებობდა. თსუ-ს პროფესურამაც პროტესტი განაცხადა მთარულ ხმაზე და პასუხად უნივერსიტეტის დატოვებით იმუქრებოდნენ. ამის შემდეგ კრეიგ უიტნს ინტერვიუ აუღია უნივერსიტეტის პრორექტორისგან, სერგო ჯორბენაძისგან. მას უთქვამს: - რა უნდა გითხრათ, როცა ამის დამადასტურებელი დოკუმენტი თვალთ არ მინახავს. თუ ჩვენ გვადლევენ იმის



უცხოეთის ქართველოლოგიურ ცენტრებში ქართული ენის სწავლების თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივები

შარტონია ბაროშვილი

10 აპრილს ქართული ენის დღი-სადმი მიძღვნილი კვირეული გაიხსნა თსუ-ს პროფესორ რამაზ ჭურდაძის საჯარო ლექციით – „უცხოეთის ქართველოლოგიურ ცენტრებში ქართული ენის სწავლების თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივები“.

ქართული ენის სწავლება უცხოეთის უნივერსიტეტებში აღარ არის იშვიათი შემთხვევა. სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელის, პროფესორ რამაზ ჭურდაძის, საჯარო ლექცია, რომელიც ამა წლის 10 აპრილს გაიმართა და, ფაქტობრივად, ამ ლექციით დაიწყო ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი კვირეული თსუ-ში.

პროფ. რ. ჭურდაძემ აღნიშნა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ენის სწავლებას უცხოელებისთვის ყოველთვის დიდი ყურადღება ექცეოდა. ეს მიმართულება განსაკუთრებით გაძლიერდა გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან. ბუნებრივია, ეს საქმიანობა თსუ-ს ძველი და ახალი ქართული ენის კათედრების პროფესორ-მასწავლებელთა მონაწილეობით მიმდინარეობდა. ამ კუთხით აქტიურად აგრძელებს მუშაობას თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტიც.

უკანასკნელ პერიოდში უცხოეთის სასწავლებლებში ქართული ენის სწავლება თსუ-სა და უცხოეთის უნივერსიტეტებს შორის გაფორმებული კონტრაქტების ბაზაზე ხორციელდება. აღსანიშნავია ისიც, რომ ვეროკავშირის ხელშეწყობით

განხორციელდა რამდენიმე პროექტი უცხოეთში ქართული ენის სწავლებასთან დაკავშირებით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფაქტი იყო 2012 წელს ნიდერლანდების სამეფოში, ლეიდენის უნივერსიტეტში, ქართული ენის, საზოგადოებათმცოდნეობისა და კულტურის კათედრის გახსნა თსუ-სა და ლეიდენის უნივერსიტეტის თანამშრომლობის ხელშეკრულების საფუძველზე. 2012 წლიდან ლეიდენის უნივერსიტეტში ყოველწლიურად ერთი სემესტრის განმავლობაში იკითხება ქართული ენის, კულტურისა და ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილი კურსები.

ბოლო ათი წლის განმავლობაში ქართული ენის სწავლება განხორციელდა საზღვარგარეთის სხვა უმაღლეს სასწავლებლებშიც: ბრემენის (გერმანია), ვილნიუსის (ლიტვა), ტარტუს (ესტონეთი), დუბუჯეს (თურქეთი), სანგაიუნის (სეული, სამხრეთ კორეა) უნივერსიტეტებში. ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა მიერ ქართული ენის კურსები წაკითხულია სხვადასხვა საერთაშორისო პროგრამის ფარგლებშიც, კერძოდ, ფულბრაიტის პროგრამის ფარგლებში ნიუ იორკის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტონი ბრუკში, ღია საზოგადოების ინსტიტუტის ფაკულტეტის განვითარებისა და მხარდაჭერის პროგრამით დარტმუთის კოლეჯში (აშშ).

ქართული ენისადმი ინტერესი უცხოეთის უნივერსიტეტებში განპირობებულია უმთავრესად მათივე საენათმეცნიერო პროგრამებით. ამ პროგრამების მიხედვით, სტუდენტებისათვის ინდოევროპულ ენებთან ერთად აუცილებელია რომელიმე არაინდოევროპული ენის შესწავლა. ამ შემთხვევაში ქართული ენა მათთვის მეტად საინტერესო



და მიმზიდველია, როგორც მდიდარი მორფოლოგიის მქონე კავკასიური ენა, რომელსაც საკუთარი დამწერლობა, უძველესი ისტორია და თექვსმეტსაუკუნოვანი ლიტერატურა აქვს. უნდა აღინიშნოს, რომ ენათმეცნიერების მიმართულების სტუდენტებთან ერთად ჩვენი ქვეყნის ისტორიით, ლიტერატურითა და კულტურით ინტერესდებიან სხვა სტუდენტებიც.

როგორც პროფესორმა რამაზ ჭურდაძემ თავის მოხსენებაში აღნიშნა, საზღვარგარეთ ქართული ენის სწავლება სპეციალურად უცხოელი სტუდენტებისთვის მომზადებული სახელმძღვანელოებითა და სალექციო კურსებით ხორციელდება. უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში ქართული ენის კურსების მომზადების დროს თსუ-ს პროფესორები იყენებენ როგორც ქართველი სპეციალისტების (ე. ბაბუნაშვილის, გ. ნახუცრიშვილისა და მ. კრავიანიშვილის, ნ. ნათაძის, გ. ვიზაბაშვილის, ლ. გეგუჩაძის, მ. ნიკოლაიშვილისა და ნ. ბაგრატიონ-დავითაშვილის, ნ. დანელიას, ნ. შარაშენიძის) სახელმძღვანელოებს, ასევე უცხოელი სპეციალისტების ნაშრომებსაც, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ამერიკელი სპეციალისტის, ჩიკაგოს უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორის, ჰოვარდ არონ-

სონის მონოგრაფიას „Georgian Reading Grammar“; ჰოვარდ არონსონისა და ჩვენი თანამემამულის ინდიანას უნივერსიტეტის პროფესორ დოდონა კიზირიას ნაშრომს „Georgian Language and Culture“ და პროფესორ დოდონა კიზირიას სახელმძღვანელოს „Beginner's Georgian“. ამა თუ იმ კონკრეტული საკითხის სასწავლებლად გამოიყენება ცნობილი უცხოელი ქართველოლოგების ალისა ჰარისის, კევინ ტუიტისა და სხვათა ნაშრომები.

საჯარო ლექცია დამსწრე საზოგადოებამ დიდი ინტერესით მოისმინა. ლექციის შემდეგ საზღვარგარეთ თავიანთი პედაგოგიური საქმიანობის შესახებ ისაუბრეს და მოსაზრებები გამოთქვეს თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორებმა: ნანა გაფრინდაშვილმა, გიული შაბაშვილმა, ლელა ციხელაშვილმა და მარიამ მანჯალაძემ. მათ გამოხატეს ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ენის სწავლებას საზღვარგარეთ. მათ აგრეთვე ისაუბრეს იმ ღონისძიებებზე, რაც საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში სალექციო კურსების გარდა ჩაატარეს ჩვენი ქვეყნის კულტურისა და ისტორიის პოპულარიზაციის მიზნით.

ამ შეხვედრაზე ნათლად გამოიკვეთა, რომ ქართული ენის სწავლებას საზღვარგარეთ დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ეს არის ერთ-ერთი მთავარი გზა ჩვენი კულტურის პოპულარიზაციისა და ჩვენი ქვეყნის მეგობრების წრის უფრო მეტად გაფართოებისა. ამ მხრივ თსუ-ს პროფესორები, როგორც საქართველოს დესპანები, მუშაობას კვლავაც გააგრძელებენ.

მხატვრული ხითხვის ხონჯურსი

თამარ დალიანი

3 უმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების კვირეულის ფარგლებში, 12 აპრილს თსუ-ს ახალგაზრდულ ცენტრში სომხურ და აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტების მონაწილეობით მხატვრული კითხვის კონკურსი გაიმართა. კონკურსის ჩატარების ინიციატივა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს ეკუთვნის, რომლებმაც იდეა ფაკულტეტის ხელმძღვანელობას სურვილების ყუთის საშუალებით მიაწოდეს (სურვილების ყუთი განთავსებული იყო თსუ-ს VII კორპუსში). ღონისძიებას ორგანიზება გაუწიეს ქართული ენის ლექტორებმა.

სტუდენტებმა პედაგოგებთან კონსულტაციით ქართული პოეზიის ნიმუშები შეარჩიეს და კონკურსზე წარსადგენად მოამზადეს. კონკურსში მონაწილეობა მიიღო 20-ზე მეტმა სტუდენტმა. კონკურსისთვის სპეციალური ჟიური შეირჩა, რომლის თავმჯდომარე გახლდათ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ნანა გაფრინდაშვილი.



ჟიურის შემადგენლობაში შედიოდნენ ქართული ენის მომზადების პროგრამის პედაგოგები, ლიტერატურათმცოდნეები: მზია შენგელია, ანდრო ბუაჩიძე, სოფიკო ძნელაძე, ლევან ბებურიშვილი და სტუდენტები: ნათია მენაბდიშვილი, მარიანა მნდლიანი, ნურიტა ნაბიევა.

კონკურსის დასკვნით ეტაპზე ჟიურმა 5 საუკეთესო კონკურსანტი გამოავლინა: ლეილა აქვეროვა, რიჩარდ ბაირამოვი, სარდაროვი მანდარი, სირანუშ გასპარიანი და შენაიატ სადრიკოვი, რომლებიც სპეციალური საჩუქრებით დაჯილდოვდნენ. კონკურსის ყველა მონაწილეს გადაეცა მადლობის სიგელები და კლასიკური პოეზიის წიგნები. კონკურსის მონაწილეების ემოციურ გამოსვლებს სტუდენტები მხურვალე ტაშით აჯილდოვებდნენ. სტუ-

დენტების განსაკუთრებული სიმბათია და ოვაცია დაიმსახურა რიჩარდ ბაირამოვის მიერ ანა კალანდაძის „სხვა საქართველო სად არის“ წაკითხვლამა ლექსმა. ჟიური მას ფეხზე წამოუდგა.

კონკურსის ფარგლებში სტუდენტებმა კლასიკური და თანამედროვე ქართველი პოეტების საუკეთესო ნიმუშები წაიკითხეს. ღონისძიებას სტუდენტები, პედაგოგები და სხვა დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ.

ღონისძიება მოამზადა თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტმა „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის“ (PITA) ხელშეწყობით, რომელსაც ახორციელებს საქართვე-

ლოს გეროს ასოციაცია (UNAG) აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით. პროგრამის პარტნიორი ორგანიზაციები არიან „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი“ (CCIIR) და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომლებიც თსუ-ს ახალგაზრდული ცენტრის ფუნქციონირებას უზრუნველყოფენ.

ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში, 13 აპრილს თსუ-ს საგამოფენო დარბაზში გაიხსნა გამოფენაც – „ქართული დამწერლობა ქართველ მხატვართა შემოქმედებაში“, სადაც ქართველი მხატვრების მიერ შესრულებული ქართული ასოების ნიმუშები გამოიფინა. ამავე დღეს სტუდენტური ესეების კონკურსში – „ჩვენი ენა ქართული“ – გამარჯვებული კონკურსანტების დაჯილდოვებაც გაიმართა, ხოლო ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების კონკურსს უმაჰინძლა ქართულ კალიგრაფიაში, სადაც სტუდენტებისთვის ქართულად წერის მასტერკლასიც ჩატარდა.

1978 წლის 14 აპრილის დემონსტრაცია ამერიკული ჰრესის ფურცლებზე

საჯარო ლექცია და ახალი ფაქტები

მე-5 გვერდიდან

უფლებას, რომ სახელმწიფო ენა ასე განვავითაროთ, მაშინ რატომ უნდა ჩანაცვლდეს ის რუსულით? სერგო ჯორ-

ბენაძე რუსულის სწავლებას განიხილავდა, როგორც მნიშვნელოვანი უცხო ენის ათვისებას. ეს კი მხოლოდ მომგებიანია მცირერიცხოვანი ერისათვის.

საჯარო ლექციაზე მომხსენებელმა სხვა მნიშვნელოვან საკითხებზეც ისაუ-

ბრა და გამოთქვა მოსაზრება, რომ ახლო წარსულში მომხდარ მოვლენებს თანამედროვე კონტექსტით გააზრება და შეფასება სჭირდება.

მოსხენების ბოლოს, პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა

თინათინ ბოლქვაძეს დაუსვეს კითხვები საბჭოთა ქართველებზე ამერიკაში შექმნილი სტერეოტიპების შესახებ და დიდი მადლობა გადაუხადეს ასეთი საინტერესო და ინფორმაციული ლექციისთვის.

ქართული ენის ხვირული



გიორგი ახვლედიანი – 130

პრეტენზია ბაროკოშილი

უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებლის, მსოფლიო-ში ცნობილი ენათმეცნიერის, ოსოლოვის, აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის დაბადებიდან 130 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილუ 5 აპრილს თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და გიორგი ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოების ორგანიზებით აღინიშნა. თსუ-ს ბიბლიოთეკასა და მუზეუმში მოეწყო გიორგი ახვლედიანის ნაშრომების ფოტო და საარქივო მასალების გამოფენა. მეცნიერის იუბილეს მიეძღვნა სა-მეცნიერო კონფერენციაც.



ვარება აქვს: ერთი მეორეს ვერ ცვლის. ამ დიდ მოზაიკაში გიორგი ახვლედიანის ადგილი განსაკუთრებულია, რადგან იგი იყო უნივერსიტეტის ერთ-ერთი მესაძირკველი, ქართული ენათმეცნიერების სკოლის პა-ტრიარქი, უამრავი სახელმძღვანელოს, შრომის, მონოგრაფიის ავტორი და სახე საქართველოსი. იგი პიროვნული ღირსე-ბებითაც გამოირჩეოდა: ძალიან თავმდა-ბალი და ლმობიერი ადამიანი იყო, ამავე დროს ძალიან პრინციპულიც, როდესაც საქმეს სჭირდებოდა. გიორგი ახვლედიანი ჩემი ლექტორიც ვახლდათ. ბედნიერება მხვდა წილად, რომ მისი ლექციები მო-მესმინა და მესაუბრა მასთან. მას ძალიან უყვარდა თავისი სოფელი, მჭიდროდ იყო დაკავშირებული თავის ფესვებთან. იგი დიდი პიროვნება იყო”, – განაცხადა ვალე-რი ასათიანმა.

გიორგი ახვლედიანი: მე რომ ხელახლა ვინყავდი ცხოვრებას, ისევ უნივერსიტეტის მსახური ვიქნებოდი

გიორგი ახვლედიანის 130 წლისთა-ვის იუბილეს მეცნიერის ღვაწლი მისმა მოწაფეებმა და მოწაფეთა მოწაფეებ-მა გაიხსენეს. „უნივერსიტეტში ხშირად იმართება დამფუძნებლებისადმი მიძღვ-ნილი ღონისძიებები, რომელიც მოწმობს – უნივერსიტეტი და საუნივერსიტეტო ცხოვრება მეცნიერობითობის პრინ-ციპს ფუძვდება და თაობათა კავშირი გრძელდება. გიორგი ახვლედიანი დიდი მეცნიერი იყო. დღესაც თბილისის სა-ხელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწეობენ მისი მოწაფეები და მოწაფეთა მოწაფეე-ბი. ის ფაქტი, რომ დღევანდელი ჰუმანი-ტარული მეცნიერებები და, კერძოდ, ფი-ლოლოგია უნივერსიტეტში და მთელ სა-ქართველოში მაღალ დონეზე განვითარ-და, ეს გიორგი ახვლედიანის დიდი დამსახურებაა არის“, – განაცხადა თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტე-ტის დეკანმა ნანა გაფრინდაშვილმა.

საქართველოში და თბილისის სახელმ-წიფო უნივერსიტეტში საენათმეცნიერო სკოლის ფუძემდებლების დამსახურებაზე ისაუბრა აკადემიკოსმა თამაზ გამყრე-ლიძემ: „გიორგი ახვლედიანი და აკაკი შა-ნიძე ქართული ენათმეცნიერების ფუძემ-დებლები და კლასიკოსები არიან. გიორგი ახვლედიანის მიერ შექმნილი ფონეტი-კური თეორია იმდენად თანამედროვეა, რომ იგი შეგვიძლია შევადაროთ უახლეს ლინგვისტურ თეორიას, რის გამოც გიორ-გი ახვლედიანი თანამედროვე ფონეტი-კური მეცნიერების ერთ-ერთ ფუძემდებ-ლადაც შეიძლება ჩაითვალოს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ამჟამად იმით, რომ მას ჰყავდა ისეთი დიდი პირო-ვნებები, რომელთაც წარუშლელი კვალი დატოვეს მეცნიერების განვითარებაში“, – აღნიშნა თამაზ გამყრელიძემ.

გიორგი ცნობილია, გიორგი ახვლე-დიანი იყო პირველი მეცნიერი, რომელ-მაც ოსური ენისა და კულტურის კვლევა დაიწყო და მის მეცნიერულ თსუ-სა და ჩაუყარა საფუძველი. ამის თანაბრად ვა-ლერი ასათიანმა ისაუბრა: „ჩრდილოეთ ოსეთში და სამხრეთში ხშირად მიწვედა მოგზაურობად და ჩემი გაოცება გამოიწ-ვია იმ ფაქტმა, რომ ბევრ ოჯახში გიორგი ახვლედიანის ფოტო, პატივისცემის ნიშ-ნად, კედელზე იყო ჩამოიდებულნი. გიორ-გი ახვლედიანმა ოსი ხალხისთვის მართ-ლაც საშვილიშვილო საქმე გააკეთა, მათ-გან მნიშვნელოვანია მის მიერ დაწერილი სახელმძღვანელოები, რაც იმ დროს დიდი სიახლე და დედუნივერსიტეტის მხრიდან გამოხატული ყურადღება და პატივისცემა იყო. მოზაიკაში კოვალ კენჭს თავისი ულ-

„ტფილისის უნივერსიტეტში ენათმეცნიერების დარგის შექმნა სამი პირის: პროფესორ იოსებ კიფშიძის, პროფესორ აკაკი შანიძისა და პროფესორ გიორგი ახვლედიანის ღვაწლს შეადგენს. პირველი მათგანის, სამწუხაროდ, უდროვოდ გარდაცვალების გამო, უდიდესი ტვირთი ორს უკა-ნასკნელს დააწვა“.

ივანე ჯავახიშვილი

გიორგი ახვლედიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები

გიორგი ახვლედიანი 1887 წლის 13 აპრილს ლეჩხუმში, სოფელ დარგში დაიბადა. 1908 წელს დაამთავრა თბილისის ქართული გიმნაზია. 1910 წელს შვიდი კლასის სასწავლებლის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1913 წელს დააპატიმრეს რევოლუციონერ სტუდენტთა წრის მუშაობაში აქტიური მონაწილეობისთვის. 1913 წელს დაწერა საკომპოზიციო ნაშრომი: „Очерк истории плавных и носовых согласных в санскрите греческом, латинском и славянском языках“, რისთვისაც ოქროს მედალით დაჯილდოვდა. 1914 წელს სარკოვის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დაუბრუნ-და გომბალიურ ქუთაისის და გიმნაზიაში მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. 1915 წელს პროფესორ იანის ემელიძის ნაწარმოებში, გიორგი ახვლე-დიანი დატოვა სარკოვის უნივერსიტეტში შედარებით ინფორმაციულ-ედიტორული მუშაობის კათედრაზე. 1916 წელს გააბრუნეს პეტერბურგის უნივერსიტეტში, სადაც მისი ერთ-ერთი პადაპოტი ნიკო მარია იყო. 1918 წელს მონაწილეობა მიიღო თბილისის უნივერსიტეტის დაარსებაში. 1918 წლიდან გარდაცვალებამდე განაგრძა ჯოგაძის ენათმეცნიერების კათე-დრის, 1918-1921 წლებში გიორგი ახვლედიანი თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი. 1918-1924 წლებში გიორგი ახვ-ლედიანი ეპარქიალური სასწავლებლის II კლასის გამგებანი იყო და XI ტიპინ-კუმის დირექტორი იყო. 1923 წლის 18 თებერვალს გიორგი ახვლედიანის ინიციატივით მოიწვიეს ქართველ ენათმეცნიერთა და ფილოლოგთა დამ-ფუძნებელი კრება, რომელმაც „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოე-ბა“ დააარსა. მის თავმჯდომარედ გიორგი ახვლედიანი აირჩიეს. 1924-1933 წლებში იგი ხელმძღვანელობდა პროფესორული სახით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერ-მუშაკთა საკავშირო ცენტრალურ-ი პარტიის ნაწილი იყო. 1928 წელს მონაწილეობა მიიღო ორიენტალისტთა XVII მიწვეული კონგრესში, მოსკოვში (ნებლისი). 1930 წლიდან ხელმძღ-ვანელობდა თბილისის უნივერსიტეტის ჯოგაძის ენათმეცნიერების კათე-დრის განყოფილებაში, რომელიც 1933 წელს გიორგი ახვლედიანი ექსპერიმენტული ფონეტიკის საერთაშორისო საზოგადოების წევრი. 1934 წელს, მისი ინიციატივით, თბილისის ფუნდამენტალურ-ნაერპულ და-ვადაბათა ინსტიტუტში დაარსდა ლოგოპედიური განყოფილება. 1936-1950 წლებში გიორგი ახვლედიანი აკადემიკოს ნიკო მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მათემატიკის კულტურის ინსტიტუტის ჯოგაძის ენათმეც-ნიერების განყოფილებაში გაგზავნა. 1939 წლის 28 იანვარს აირჩიეს სსრ კავ-შირის მეცნიერებათა აკადემიის წევრობის სპონსორირებად. 1940 წელს გიორ-გი ახვლედიანი ამერიკის ლინგვისტიკის საზოგადოების წევრი. 1941 წელს აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წე-ვრთა პირველ თავმჯდომარეობაში; 1941 წლის 26 თებერვალს – საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრად. 1941-1945 წლებში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დადანიერებით, მეცნიერ-თა ჯგუფი გიორგი ახვლედიანის ხელმძღვანელობით მუშაობდა ექსპო-ზის სპეციალური დასერილ ჯარისკაცებთან, რომელთაც მეტყველების პოსტ-კომუნიკაციური მოზილიზაცია აღენიშნებოდათ. 1941-1947 წლებში გიორგი ახ-ვლედიანი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარეა. 1943 წლის 9 იანვრის სა-ქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, გიორ-გი ახვლედიანს მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურე-ბული მოღვაწის წოდება. 1944 წელს დაჯილდოვდა მედალით – „პაპასისის დაცვისათვის“. 1945-1947 წლებში გიორგი ახვლედიანი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიის აკადემიკოსი მდივანია. 1945-1956 წლებში იგი თეატრალური ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი. 1947 წელს გაიგ-ზავნა დელეგატად სრულიად აზიის კონფერენციაზე ინტელექტუალურ მონაწილეობაში და აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის პირველი საბე-ჭოთა კონფერენციის მუშაობაში, ძალაქ დუშაბაში. 1965 წელს პედაგოგი-ურ დარგში განსაკუთრებული დამსახურებისთვის გიორგი ახვლედიანი „ნაკომ გომბალიური მედალით“ დაჯილდოვდა. 1968 წელს დაჯილდოვდა „საინფორმაციო მედალით თბილისის უნივერსიტეტის დაარსების 50-ე წლი-სთვის ალსანიშნავად“. 1972 წელს გიორგი ახვლედიანი დაჯილდოვდა მედალით – „სამხრეთ ოსეთის 50-ე წლისთავი“. 1973 წლის 7 ივლისს გიორგი ახვლედიანი გარდაიცვალა. იგი დაკრძალულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პანთეონში.

თსუ-ს მუზეუმში აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის 130 წლის იუბილესადმი მიძ-ღვნილ ფოტოლოგიალურ გამოფენაზე მეცნიერის მემორიალური ნივთები, ხელნა-წერები, რარიტეტული და ფოტოლოგიალურ-ტური მასალა იყო წარმოდგენილი, რომ-ლის ნაწილი მუზეუმს 2009 წელს გიორგი ახვლედიანის ქალიშვილი ელენე (ლალა) ახვლედიანმა გადასცა. თსუ-ს მუზეუმის მეცნიერ- თანამშრომლის ალექსანდრე მარუაშვილის ინიციატივით, ექსპოზიცია, გარკვეულწილად, ასახავს იმ სამეცნიერო მიმართულებებს, რომლებსაც გიორგი ახვ-ლედიანი წლების მანძილზე შეისწავლიდა. „ექსპონატების მეშვეობით ჩვენ შევეცადეთ მაქსიმალურად წარმოგვედგინა გიორგი ახვლედიანის მრავალმხრივი მოღვაწეობა. ექსპოზიციაზე წარმოდგენილია მიმოწერა აკაკი შანიძესთან, არნოლდ ჩიქობავა-სთან და სხვებთან, ასევე მნიშვნელოვანი ოსი კოლეგების მიერ მადლიერების ნიშ-ნად მიძღვნილი საჩუქრები, მათ შორის, ქართული ორნამენტებით გაფორმებული „მახვშის სკამი“, რომელიც მას 80 წლის იუბილეს მიხედვით გადასცა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუზეუმში დაცული ხე-დაწერილი დოკუმენტები, რომლებიც მისი მეცნიერობიდან არის შემოწერილი, მათ შორის, აფხაზეთის ტოპონიმია, რომ-ელსაც აქტიურად შეისწავლიდა. საინტე-

რესოა მის საოჯახო კოლექციაში დაცული კრიშნას და ბუდას ქანდაკებები, რომლე-ბიც მან ინდოელი კოლეგებისგან მიიღო საჩუქრად. მუზეუმში ინახება სხვა მნიშვ-ნელოვანი ექსპონატებიც – გიორგი ახვ-ლედიანის საცხოვრებელი სახლის მაკეტი, კინოგრაფი – ხელსაწყო, რომელიც გრაფი-კული ჩანახაზების გაკეთების საშუალებას იძლევა, ასევე, ფირსაკრავი და ფირფიტე-ბი, რაც გიორგი ახვლედიანის მუსიკალურ გატაცებაზე მიუთითებს“, – აღნიშნა ალექ-სანდრე მარუაშვილმა.

ქართული ენათმეცნიერის გიორგი ახვლედიანის იუბილესთან დაკავშირე-ბით უნივერსიტეტში სამეცნიერო კონ-ფერენცია გაიმართა, სადაც ქართველმა მეცნიერებმა წარმოადგინეს მოხსენებე-ბი. ნაჩვენები იყო დოკუმენტური ფილმი – „გიორგი ახვლედიანი“. მაყურებლისთ-ვის საინტერესოა შემორჩენილი ფირი, სადაც თავად მეცნიერი საუბრობს: „მე არც წარმომიდგენია ჩემი ცხოვრება და უნივერსიტეტი ერთმანეთს დავაშორე. პირიქით, მე რომ ხელახლა ვიწვევდე ცხოვრებას, ისევ უნივერსიტეტის მსახე-რი ვიქნებოდი, რადგანაც ჩვენ (პირველი კოლექტივი) ვგრძნობდით, რომ ჩვენ ვაკე-თვდით დიდ საშვილიშვილო, ეროვნულ საქმეს“ (გიორგი ახვლედიანი).



საშუალო-აღმაღლებული




გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ სტუდენტური ჩანართი

სტუდენტობა თსუ-ში და დასაქმება თსუ-ს შიგნით

21-ე საუკუნეში უმაღლესი განათლების მიღება არცთუ ისე ბევრ წინააღმდეგობასთანა დაკავშირებული უპირველესი საჭიროება ცოდნა, მაგრამ გამართლებასა და ილბალზეც ბევრია დამოკიდებული. ბაკალავრიატის 4 წელი დიდად სანერვიულო არაა. უფრო მეტად ასაღებელი ბოლო კურსის ბოლო სემესტრია, მით უმეტეს მაშინ, როცა აცნობიერებ, რომ სწავლას ამთავრებ და საკუთარი პროფესიით დასაქმებაზე ფიქრი გაშინებს.

თუმცა, ამავე 21-ე საუკუნეში, კურსდამთავრებულები საკუთარი პროფესიითაც მუშაობენ. ბუნებრივია, უნივერსიტეტში შექმნილი უნარ-ჩვევები მათ დასაქმებისას პრობლემებს უმსუბუქებს. თუმცა, ასევე ბუნებრივია, რომ სწავლა და მუშაობა ცხოვრების განსხვავებული ეტაპებია და, ეს უკანასკნელი, წინააღმდეგობებსაც გულისხმობს.

იმის გამო, რომ რამე თეორიულად არ ვიცოდით, არ მჭონია. რა თქმა უნდა, რეალურ პურნალისტურ სივრცეში მეტი ახალი უნარის გამოუმუშავება დამჭირდა, როგორცაა – დროის მენეჯმენტი, სწრაფი გადაწყვეტილებების მიღება და ოპერატიულობა“.



ასევე 2016 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უნივერსიტეტის მიმართულება გიორგი დვალისვილი. თუმცა, მიზეზების გამო, გიორგი უნივერსიტეტის პროფესიით არ მუშაობს. საკუთარი პროფესიით დასაქმების მცდელობა პირველივე კურსიდან ჰქონდა, თუმცა მიხვდა, რომ შესაბამისი უნარ-ჩვევები ჯერ არ ჰქონდა და ორიენტაცია სწავლისკენ აიღო. მაგრამ მალევე იმასაც მიხვდა, რომ აუცილებელი იყო პრაქტიკა. მე-3 კურსზე რომ გადავიდა, მუშაობა შიდა ქართლის რეგიონულ მაუწყებელში, ტელეკომპანია „თრიალეთში“ დაიწყო, მაგრამ 6 თვის შემდეგ, მიხერული ანაზღაურების გამო, იქიდან წამოვიდა. გიორგი ორჯერ დასაქმდა უნივერსიტეტის პროფესიით, მაგრამ უარი საკუთარი ნებით თქვა. უპირველესი წინააღმდეგობა, რამაც მის მოტივაციაზე იმოქმედა, ნეპოტიზმი იყო. ამიტომაც სამსახური საკუთარი ნებით დატოვა.

გიორგი დვალისვილი, ბუნებრივია, მის განვითარებასა და მომავალ უნივერსიტეტში ჩამოყალიბებაში თსუ-ს როლზეც საუბრობს. „ძალიან კრიტიკული ვიყავი სასწავლო პროცესის შეფასებისას და სამართლიანადაც. თსუ საუკეთესო უნივერსიტეტი არ არის, თუმცა საქართველოს სხვა უნივერსიტეტებს სჯობია. მისი როლი ჩემს პიროვნულ თუ პროფესიულ ზრდაში შეუფასებელია. არაჩვეულებრივი პროფესორების წყალობით კრიტიკულ, ობიექტურ და სამართლიან პიროვნებად ჩამოვყალიბდი“, – აღნიშნავს იგი.




ირაკლი ჩხაიძემაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა. ბაკალავრიატის საფეხური მან 2005 წელს დაასრულა, შემდეგ სწავლა მაგისტრატურაზე გააგრძელა (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი). ამის შემდეგ მან დოქტორანტურაზე ჩააბარა იმავე მიმართულებით, რისი დასრულების შემდეგაც კულტურის კვლევათა დოქტორის აკადემიური ხარისხი მიენიჭა. ახლა ირაკლი თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კულტურის კვლევათა ინსტიტუტის ასისტენტ-პროფესორია.

სასწავლო და კვლევითი პროცესისადმი ინტერესმა განაპირობა ის ფაქტი, რომ ჩემი პროფესიული საქმიანობა მჭიდროდ დაუკავშირდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. თსუ-ში ჩემს დასაქმებაზე განმსაზღვრელი გავლენა იქონია კულტურის კვლევათა მიმართულებაზე არსებულმა გარემომ და დამოკიდებულებამ, რომელიც მიმართულების ხელმძღვანელთა მხრიდან იყო და არის სტუდენტებისა და ახალგაზრდა თანამშრომლების მიმართ“, – აღნიშნავს იგი.

როგორც ირაკლი ამბობს, გარდა პროფესიული უნარ-ჩვევებისა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მას ადამიანებთან ურთიერთობისა და ჯგუფური მუშაობის უნარი ჩამოუყალიბდა, რაც მომავალ პროფესიულ საქმიანობაში ძალიან დაეხმარა. თსუ-ში მისი დასაქმება ნელ-ნელა, ყველა შესაბამისი ეტაპის გავლის შედეგად მოხდა.

ირაკლი საკუთარი პროფესიით დასაქმებლობის პრობლემებსა და მიზეზებზეც საუბრობს. ამ ფაქტის მთავარ მიზეზად მთელი ჯგუფის მასშტაბით არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ ფონს ასახელებს: „შეუძლებელია, საქართველოს მასშტაბის და რესურსების ჯგუფში, ყოველწლიურად, ასობით იურისტი, ან ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა წარმომადგენელი დასაქმდეს. კურსდამთავრებულები, ხშირად, მათი პროფესიისგან სრულიად განსხვავებულ სფეროებს ირჩევენ (მაგალითად, ფილოლოგი სა-მუშაოდ მიდის ბანკში), რადგან საბანკო სექტორი შედარებით განვითარებულია და მეტი ადამიანის დასაქმების შესაძლებლობა აქვს“.




ნატა ფარულავაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია. უნივერსიტეტი მან 2015 წელს დაამთავრა (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი სოციალური მუშაობის განხორით). ამ დროისთვის, სოციალური მომსახურების სააგენტოში მუშაობს სოციალურ მუშაკად. მან hr.gov.ge-ზე გამოცხადებულ ვაკანსიაზე გააგზავნა საკუთარი რეზიუმე. ამის შემდეგ გაიარა ტესტირება, გასაუბრება და, საბოლოოდ, აღნიშნული ვაკანსიისთვის იგი შესაფერისი აღმოჩნდა.

როგორც ნატა აღნიშნავს, გარდა მნიშვნელოვანი თეორიული ცოდნისა, მიიღო პრაქტიკული გამოცდილება (სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები). შესაბამისმა უნარ-ჩვევებმა განაპირობა მისი პროფესიული განვითარება და შესაბამისი ღირებულებებისა და ცოდნის განმტკიცება. იმავე უნარებმა მისი სამომავლო გეგმების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი.

ნატა სამსახურის ძებნასთან დაკავშირებულ საკუთარ გამოცდილებაზეც საუბრობს. „თვეობით მიწვევა ვაკანსიების ძებნა. ასევე, არ აღმიკვამდნენ სერიოზულად სხვა პროფესიის წარმომადგენლები, ვინაიდან მათში დაბალია სოციალური მუშაკის ფუნქციებისა და, ზოგადად, პროფესიის ცნობადობა“, – აღნიშნავს იგი.

როგორც ნატა მიიჩნევს, საკუთარი პროფესიიდან გამომდინარე, უმთავრესი პრობლემა სამუშაო ადგილების სიმცირეა; ასევე, სოციალური მუშაკის პროფესიის დაუფასებლობა და არაადეკვატური სამუშაო პირობები. „განათლებით არა-სოციალურ მუშაკებს ბევრ სამსახურში აქვთ შესაძლებლობა – დასაქმდნენ სოციალურ მუშაკებად, რაც, ასევე, ხელისშემშლელი ფაქტორია და არ უწყობს ხელს ჯგუფში ჩვენი პროფესიის პოპულარიზაციასა და წინსვლას“, – ამბობს ნატა ფარულავა.

საკუთარი პროფესიით დასაქმების პრობლემა, საბოლოოდ, მანაც ჯგუფში სამუშაო ადგილების სიმცირესთანა დაკავშირებული. დასაქმებას კონკრეტული პროფესიები და შესაბამისი პროფესიის კადრების საჭიროებაც განაპირობებს. თუმცა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, როგორც კავკასიის ნომერ პირველი უნივერსიტეტი, არის ადგილი, სადაც სტუდენტები მაქსიმალურად იღებენ როგორც თეორიულ ცოდნას, ისე – პრაქტიკულ გამოცდილებას. სწორედ ამიტომ არიან ისინი საკუთარი საქმის პროფესიონალები.



ელენე კურდელიამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბაკალავრიატის საფეხური საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულებით დაამთავრა (2016 წელს). იგი დასაქმებულია, მაგრამ არა – საკუთარი პროფესიით. როგორც ელენე ამბობს, სოციალურ მეცნიერებებში ცოტა ვაკანსიაა, მათ შორის, საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულებითაც. „უპირველეს ყოვლისა, ჯგუფის პრობლემაა ის, რომ სამუშაო ბაზარზე, ამ მიმართულებით, დასაქმების შესაძლებლობა მიხერულია. თუმცა, მე წელს დავამთავრე და ვერ ვიტყვი, რომ ჩემი პროფესიით სამსახურის შოვნის იმედი გადაწურული მაქვს“, – აღნიშნა მან.

როგორც ელენე ამბობს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ის უნარ-ჩვევები მისცა, რაც საკუთარ პროფესიაშია საჭირო: „მე მაგისტრატურაშიც თსუ ავირჩიე, რადგან მივიჩნევ: საქართველოში, ჩემს პროფესიაში, საუკეთესო განათლებას ისევ თსუ მომცემს“.

მარიამ ტილიძე,
თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი



მარიამ ჩიბუხაია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია. ბაკალავრიატი (ურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციების მიმართულება) მან 2016 წელს დაამთავრა. როგორც იგი ამბობს, უნივერსიტეტში მიღებულმა პრაქტიკულმა გამოცდილებამ და პრაქტიკულმა უნივერსიტეტმა ლექტორებმა მას იმდენი ცოდნა შეჰმატეს, რომ სამსახურში პირველი მცდელობისთანავე მიიღეს. „უნივერსიტეტში ვისწავლე, როგორ ამეწყობო სიუჟეტი, როგორ ჩამეწერა სინქრონიზი და სხვა მრავალი ტექნიკური საკითხი. მაღლიერი ვარ უნივერსიტეტის“, – ამბობს მარიამი.

იგი ხაზს უსვამს „ბეჭდური მედიის“ სალექციო კურსს, რომლის წყალობითაც, როგორც აღნიშნავს, არაერთი უნივერსიტეტი და გახეთი გამოსცა მისმა ჯგუფმა. ამ საგნის ფარგლებში მარიამი საკუთარი ქალაქის კედლებს გაცდა და მასალების მოსამზადებლად სხვა ქალაქებსაც ეწვია, რამაც პრაქტიკული ცოდნა კიდევ მეტად გაუღრმავა. იმ პრაქტიკოსი უნივერსიტეტის მაღლიერიცაა, რომელმაც სტუდენტებს დაანახეს – რეალურად რა მდგომარეობაა ქართულ უნივერსიტეტში, რას ითხოვენ დამსაქმებლები და რა უნარ-ჩვევებს უნდა ფლობდეს კურსდამთავრებული. „თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნო, რომ თეორია, რომელიც კარგად ვისწავლე, სწორად მუშაობასა და ამ ყველაფრის პრაქტიკაში გადატანაში დამეხმარა“, – ამბობს მარიამ ჩიბუხაია.

მარიამი ხაზს უსვამს პრობლემებსაც, თუმცა ამბობს, რომ მუშაობის პროცესში ისეთი წინააღმდეგობა არ შეხვედრია, რაც სწავლის პერიოდში არ ჰქონია. „წინააღმდეგობა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1918 წელს დაარსდა. მომავალ წელს მას საუკუნე უსრულდება. 100 წელი საკმაოდ ბევრ თაობას გამოზრდიდა. ხშირად მიფიქრია იმაზე და, ალბათ, ეს თსუ-ს ყველა სტუდენტს გაუვლია გულში – როგორ კედლებში, როგორი მეთოდებით სწავლობდნენ და ასწავლიდნენ უნივერსიტეტში. იმაზეც მიფიქრია, რა პრობლემები ჰქონდათ სტუდენტებს თითქმის საუკუნის მანძილზე და ხანდახან მაოცებს კიდევ, როგორ შეიძლება სტუდენტის ინფორმირება წიგნების ელ. ვერსიების, ზაზების და, საერთოდ, ტექნოლოგიური წინსვლის გარეშე. თუმცა, მერე ვხვდები, რომ გავა დრო – კიდევ ასი, ორასი, ან თუნდაც ათასწლეულები და წარმოუდგენელი იქნება, თუ როგორ ვსწავლობდით ჩვენ, XXI საუკუნის თსუ-ს სტუდენტები ასეთ გაუმართავ სისტემაში. ალბათ მათ, ვინც ჩვენს უნივერსიტეტს შიგნიდან არ იცნობს (ან ვითომ არ იცნობს) გაუკვირდება, ჯავახიშვილში როგორ თუ რამე გაუმართავიაო, მაგრამ, არის და თან – ბევრი რამ, რომლებზე საუბარიც ხშირ შემთხვევაში რიგით საუბრად რჩება.

მოდით, ერთ დღეს ერთ სტუდენტს გავკვირებ, მივიღებ მასთან ერთად სასწავლო კორპუსებში და ცალი თვალთ შევიჭკიტოთ იმის გასაჩვენებლად, თუ რა წინააღმდეგობებს აწყდება ყველა, ვინც დღეს სტუდენტის სტატუსს ატარებს.



ვალს შორის უხდება. უკეთესი მომავლის იმედით კი 21 წლის გოგო, რომლის მშობლებიც რეგიონში ცხოვრობენ და ვერას იქიდან ეხმარებიან, უმუშევარი რჩება.

უმუშევარი ვერა მალედაც დილის 7 საათზე აყენებს და, მეცადინეობისგან დაღლილს, ძილი ერევა. დილით ასე ადრე იმით დგება, რომ გლდანში ცხოვრობს და ცდილობს – უნივერსიტეტში არ დაავიანოს, მისთვის ყოველი წუთი მნიშვნელოვანია. წუთში ხომ უამრავი ინფორმაცია შეიძლება მოისმინოს, რაც მომავალში გამოადგება? დილის 8 საათზე ენადამწვარი ვერა (ზედმეტად ცხელი ყავის დალევის გამო, რათა გამოფხიზლებულიყო და თან ლექციაზე არ დაგვიანებოდა) ავტობუსის გაჩერებაზე გამოდის. მის სახლთან ძალიან ახლოსაა გაჩერება, ამიტომ მეტროსკენ, რომელიც ცოტა მოშორებითაა, გზას აღარ აგრძელებს და უსოდება 51 ნომერ ავტობუსს, რომლის შესახებაც ინფორმაცია ტაბლოზე წითლად ანთია და აწერია – 02. ეს იმას ნიშნავს, რომ ავტობუსი ხუსტად 2 წუთში მოვა და ვერა ფიქრობს, რომ დილა კარგად დაიწყო...

ფიქრებში წასულს, თუ როგორ გააგრძელოს კარგად დაწყებული დღე, დროის შეგრძნება ეკარგება. გონს მოდის და ხედავს, რომ 20 წუთი გავიდა და უნივერსიტეტისკენ მიმავალი მისი ავტობუსი ჯერ ისევ არ ჩანს. გზას მეტროს მიმართულებით მიუყვება... სამარშრუტო ტაქსითაც შეუძლია მგზავრობა, მაგრამ მეტროს არჩევს – ასე იმ ფულსაც დაზოგავს, რომელიც მშობლებთან 3 დღის წინ გამოუგზავნეს... ფულით თითქმის გათავებია, რადგან წიგნის ელ. ვერსია ვერსად იპოვა და მისი ყიდვა მოუხდა (გამოიანგარიშა, რომ „ქსეროქსი“ ბევრად ძვირი უჯდება. ბიბლიოთეკაში ითხოვისთვის

სტუდენტის ერთი დღე

კი ლექციების შემდეგ სულ რაღაც 2 საათი რჩება).

მეტროს ვაკონი სულ საგსეა, ხალხი ერთმანეთსაა მიტმასნილი, მაგრამ დრო ველარ ითმენს. თუ არ იჩქარა, ნამდვილად დააგვიანებს...

– ნატრიაშვილი ვერა – ისმის ლექტორის ბოხი ხმა და ღია კარში ვერა დგას.

ბა! საჭმელს აფუთვინებს და მას უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში, თვალისგან მოფარებულ ადგილას შექცევს.

იქნებ ბიბლიოთეკაში მაინც დახვდეს ადგილი? – რამეს წაიკითხავდა...

შუალღე

ლექციის პირველმა საათმა საინტერესოდ ჩაიარა, მაგრამ მეორე საათზე ვერას არჩევანის გაკეთება უხდება ორ, მისთვის საინტერესო საგნებს შორის, რადგან მისი ლექციების დრო ერთმანეთს ემთხვევა (ესეც გაუმართავი ზაზები). სხვა გამოსავალი არ აქვს. არჩევანს სწრაფად აკეთებს და უნივერსიტეტის VI კორპუსიდან VIII კორპუსამდე გზას ფეხით მიუყვება. აუდიტორიაში სახეაწითლებული და აქროშინებული შედის, მაგრამ ბედნიერია, რომ არ დაავიანა, რადგან არც ისე მოკლე გზა გამოიარა. კიდევ კარგი, დღეს სამშაბათი არაა, ვინაიდან სამშაბათს საქმე უფრო რთულად აქვს – ერთ საათში ჰაჭვავადიდან დელისზე უნდა მოხვდეს.

ესეც მეორე ლექცია... აუდიტორიაში პროექტორი ვერ ჩართეს, თუმცა მაინც საინტერესო პრეზენტაცია გამოუვიდა. არადა ზუსტად „powerpoint“-ში საპრეზენტაციო მასალებს აწყობის გამო დაიძინა დილის 4 საათზე, მაგრამ არა უშავს, მთავარია, რომ თავი გაართვა.

კიდევ ერთ ლექციამდე შუალედი სამი საათი აქვს. სახლში გასვლა და უკან დაბრუნება გამორიცხებულია, არადა შია. უნივერსიტეტის აპარატში გაყინული სენდვიჩია, თანაც წინა კვირაში სწორედ ამ სენდვიჩმა მოწამლა. სენდვიჩის შეფუთვაზე მისი მოხმარების ვადას რომ დახედა, კარგა ხნის გასული იყო. მის მერე ურიდება აპარატში ნაყიდ რაღაცებს. უნივერსიტეტს სხვა სახის კვების ობიექტი არ აქვს. კაფეში დაჯდომის ფუფუნება კი სადაა... ვერა ახლო მდებარე სწრაფი კვების ობიექტს ირჩევს და საჭმელად იქ მიდის. დანაყურების იდენით გამხიარულვულ ვერას რიგი მოხდის, ის საჭმელს უდღულობს, ბრუნდება და ხედავს, რომ უკვე ყველა ადგილი დაკავებულია. რა უნდა ქნას? აუდიტორიაში ან მისაღებში ხომ ვერ შეჭამს? – არ შეიძლე-

სალამო

ბოლო ლექციაც მთავრდება. უკვე ათის ნახევარია. მადლიანმა ლექტორმა, რომელიც ლექციების დროდ სულ სალამოს უთითებს და რომლის საგანიც სავალდებულო არაა, მაგრამ საჭიროცაა, ნახევარი საათით ადრე გამოუშვა სტუდენტები. ბოლო ავტობუსი გლდანისკენ წესით 10-ზე უნდა გავიდეს... მოასწროს! უნდა მოასწროს, თორემ ხვალისთვისაც ბევრი აქვს სამეცადინო... აჰა, ავტობუსის დალოცვით ციფრს მოჭკრა თვალის, ფეხს უჩქარებს, მაგრამ გაჩერებაზე, რაც ხალხი იყო, ყველა ამ ავტობუსში ადის და მასში ვერას ადგილი აღარ რჩება...

მეტრომდე ფეხით ვერ ჩავა – დაღლილია... დროც არ აქვს, თანაც სამარშრუტო ტაქსი, რომელიც მის სახლთან გაივლის, უკვე გამოჩნდა. ეჰ, არადა, როგორ ეგონა, რომ ფულს დაზოგავდა...

გზაზე საცობებია. გზაში ეს ტრანსპორტიც გადაიჭდა... ვერას ახლა ცალ ფეხზე უყვეს დგომა...

სახლში მისულს არაფრის თავი აღარ აქვს, მაგრამ 12 საათი დაიწყო და, რაც უფრო მალე დაიწვეს მეცადინეობას, მით მალე დაიძინებს... მეცადინეობაში დრო ისე სწრაფად გადის, რომ, როცა სწავლას ასე თუ ისე რჩება, უკვე 3 საათს გადაცილებულია... ცოტალა დარჩა, მაგრამ ამაღს დილით, ავტობუსში წაიკითხავს... მალედაც მოხვდება სახლში და დაიძინებს... მალედაც მოხვდება სახლში და დაიძინებს... მალედაც მოხვდება სახლში და დაიძინებს... მალედაც მოხვდება სახლში და დაიძინებს...

თამარ სირბილაძე,
თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი

დილა

ვერა 21 წლისაა. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებს ეუფლება. მისი პირადი პოლიტიკის მიმართულებაა. ახლა III კურსზეა. სკოლა ოქროს მედლით დაამთავრა. დედამისი მასწავლებელია. ვერა არ მუშაობს – რატომ? – უნივერსიტეტის გამო: ლექტორები უხვნიან, რომ ქველანდირად დაეხმარებიან და მუშაობის გამო არ დაზარალდება, მაგრამ თუ ვერ ივლის, ქულაზე დააკლდება. არჩევანის გაკეთება მას კარგ აკადემიურ მოსწრებასა და საკუთარ ფინანსურ შემოსა-

**მალღვივის ჰაზბის ობიექტში „მოულოდნელად“ სტუმრობამ
დადებითი ემოციებით აზვავსო
გამონილს თვალთ ნანახი სჯოგსო...**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის დღემდე ერთ-ერთი პრობლემატური საკითხი კვების ობიექტების არარსებობა იყო. მაშინ, როდესაც დასავლეთის უნივერსიტეტებში არსებული კაფეები სტუდენტთა სურვილების დაკმაყოფილებას ცდილობენ – იქნება ეს მუდრო გარემო, საკვებ პროდუქტზე დაბალი ფასები თუ ჯანსაღი საკვების შეთავაზება – ლიდერი უნივერსიტეტი კავკასიაში, წლებია, ზემოხსენებულ პირობებს ვერ სთავაზობდა თავის სტუდენტებს.

გაზაფხულის სემესტრი თსუ-ში საინტერესო სახლით დაიწყო. მალევე კორპუსში ახალი კვების ობიექტი გაიხსნა, რომელიც მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული კორპუსების თანამშრომლებსა და სტუდენტებსაც ემსახურება. ლოგოკუ-რიც იყო – ჰავაზადის გამოირეუ განთავსებული კორპუსების სტუდენტები, შეიძლება ითქვას, რომ შედარებით უკეთეს სიტუაციაში არიან. მიმდებარე ტერიტორიაზე არაერთი სწრაფი კვების ობიექტი თუ საცხობია. მართალია, სტუდენტებს ხშირად გარეთ, ქარსა და წვიმაში, ფეხზე მდგომებს უწევთ ჰამა, თუმცა, მალევის სტუდენტებისგან განსხვავებით, მათ ეს „ფუფუნება“ აქვთ. რაც შეეხება X კორპუსის სტუდენტებს, საკვების ობიექტის გახსნამდე მათ საკმაოდ დიდი მანძილის გავლა უწევდათ ელემენტარული საკვები პროდუქტის მოსაპოვებლად. „სტუდენტები მუდმივად გადარბენაზე ვართ. არსებული სტრუქტურის კვების ობიექტის არარსებობა კიდევ უფრო ამძიმებდა. ვერ ვახერხებდით სრულფასოვნად კვებას, რადგან მიმდებარე ტერიტორიაზე არ იყო მსგავსი დაწესებულება. გვიწევდა ფეხით ჰავთარაძის ქუჩაზე ჩასვლა. ამდენი სირბილი კი არაკომფორტულია“, – ამბობს ჩვენთან საუბრისას ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი ანი ცუცქირიძე.



ახალი კვების ობიექტის შესახებ პოზიტიური კომენტარები მალევე გაგრძელდა საუნივერსიტეტო სივრცეში. არც არის გასაკვირი, რადგან კაფეტერია ყოველთვის იყო და არის სტუდენტური ცხოვრების ერთ-ერთი თანმდევი. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კვალიფიციური პერსონალის გარდა, სხენულ ობიექტზე დასაქმდნენ ტურიზმის მიმართულების პროფესიული პროგრამების სტუდენტებიც. სამომავლოდ, ტურიზმის ფაკულტეტის ნებისმიერი სტუდენტი, როცა ცილის პრინციპით, შეძლებს კვების ობიექტზე პრაქტიკისა და სამუშაო გამოცდილების დაგროვებას.

მოკლედ, ბევრისთვის, გაგონილს საკუთარი თვალთ ნანახი სჯოგსო.. მე და ჩემმა ჯგუფებმა, მომავალმა უსრინა-ლისტებმა, უსრინალისტური ცნობისმოყვარეობის მოსაკლავად, გადავწყვიტეთ დაგვედგინა – თუ რამდენად შეესაბამებოდა გაგონილი რეალობა და ერთ მშვენიერ დღეს „მოულოდნელად“ ვესტუმრეთ მალევე კორპუსს. რთული არ აღმოჩნდა ახალი კვების ობიექტის მიგნება. სტუდენტთა მოძრაობა, ძირითადად, ერთი მიმართულებით შეიმჩნეოდა, ჰოდა ჩვენც მათ მოძრაობას გავეყვით და მალევე აღმოვჩინეთ სხენულ დაწესებულებაში.

დიდი სივრცე, მუდროდ მოწყობილი გარემო, სტუდენტების ურიაშული

და გაღიმებული სახეები ბევრ რამეზე მეტყველებდა. პირველი, რამაც ჩვენი ყურადღება მიიქცია, ეს საკვები პროდუქტის ფასები იყო. სასიამოვნოდ გაკვირვებულები აღმოვჩნდით, რადგან სადაც, გულის სიღრმეში ეჭვი მეპარებოდა, რომ ფასები სტუდენტების ჰიბეზე მორგებული იქნებოდა. სულ რაღაც 3 ლარად შეძენილმა გემრიელმა ლობიანმა, ჰოთ-დოგმა და ხილის წვეინმა სახედა დაგვტოვა... კიდევ ერთხელ დაგვწმუნდით, რომ გაგონილს საკუთარი თვალთ ნახვა სჯობს.

ჯერჯერობით უცნობია, თუ რა სახელს დაარქმევენ კვების ობიექტს, თუმცა ტურიზმისა და მასპინძლობის მიმართულების ასისტენტის ვალერი არლუთაშვილის თქმით, ამ პროცესში მალევე კორპუსის ყველა სტუდენტი იქნება ჩართული. „აქ რაც კეთდება, ყველაფერი სტუდენტების ჩართულობით ხორციელდება. საკვები პროდუქტის შეჩვენება კი მათი რჩევებისა თუ სურვილების მიხედვით მოხდა. ამ დაწესებულების მიხანაც ესაა, რომ მაქსიმალურად გავითვალისწინოთ მათი მოთხოვნები და, რაც მთავარია, ეს ყველაფერი ხელმისაწვდომი და ხარისხიანი იყოს. სტუდენტებმა უდიდესი წვლილი შეიტანეს ამ ობიექტის გახსნაში, რისთვისაც მათ დიდ მადლობას ვუხდით“, – ამბობს ვალერი არლუთაშვილი.

თავად ბატონი ვალერი ობიექტის მუშაობის პროცესში მთლიანად არის ჩართული. მან საშუალება მოგვცა, ჩვენი ცნობისმოყვარეობა ბოლომდე დაგვეკმაყოფილებინა და შიდა სამხარეულოში შეგვახედა. ჰიგენიური და საინტარუსო პირობები უმკაცრესად კონტროლდება და პერსონალიც მაქსიმალურად ცდილობს – გაწერილი ნორმები მაკაცრად დაიცვას. ადგილია და საინტარუსო, რადგან სამხარეულოში მოფუსფუსე მხარეულების დანახვა კაფეტერიის დარბაზიდანაც არის შესაძლებელი. სწორედ სამხარეულოში აღმოვაჩინეთ ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტი ლევან ლურსმანაშვილი, რომელიც ახალი კვების ობიექტში სტაჟირებას გადის. „გამიხარდა, რომ ჩვენმა უნივერსიტეტმა ამის საშუალება მომცა. ვთვლი, რომ აქ შეძენილი გამოცდილება პოზიტიურად აისახება ჩემს კარიერაზე. რაც შეეხება სწავლასა და მუშაობას, არ მიჭირს ერთმანეთთან შეთავსება, რადგან ყველაფერი სტუდენტებზეა მორგებული“, – ამბობს ლევანი.

მოკლედ, ჩვენმა „მოულოდნელმა“ სტუმრობამ, რომელიც ინფორმაციის გადამოწმებას უფრო ჰგავდა, ვიდრე მშვიდი სტუდენტების ვიზიტს, დადებითი ემოციებით აგვავსო. პროფესიონალი გუნდი, სასიამოვნო გარემო, ჯანსაღი საკვები სტუდენტებისთვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომ ფასებში – ეს ის მოკლე ჩამონათვალია, რაც ჩვენ მალევე კორპუსის ახლად გახსნილ საკვებ დაწესებულებაში აღმოვაჩინეთ. სხენულ ფაქტი მნიშვნელოვანია, რადგან მსგავსი დაწესებულება თსუ-ს სივრცეში დიდი ხნის ლოდინის შემდეგ შეიქმნა; აპროლის შუარიცხებისთვის კი, კვების ახალი ობიექტი, პირველ კორპუსშიც გაიხსნება.

გიკა შაუთიძე,
თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი

გერმანელი ქართველოლოგის 80 წლის იუბილე „მშობლიურ“ საქართველოში

შარტენია ბაროშვილი

ცნობილი გერმანელი ქართველოლოგის, თსუ-ს საპატიო დოქტორის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრის, პროფესორ ვინფრიდ ბოედერის 80 წლის იუბილე, მშობლიური გერმანიის გარდა, განსაკუთრებული სიყვარულით „მშობლიურ“ საქართველოშიც აღნიშნეს. 3 აპრილს უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ინიციატივით საიუბილეო საღამო გაიმართა. ღონისძიებას ესწრებოდნენ თსუ-ს პროფესორ-მასწავლებლები, ქართველოლოგიური დარგის მეცნიერები სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებიდან, მოწვეული სტუმრები, სტუდენტები, რომლებმაც ვინფრიდ ბოედერის ქართველოლოგიის განვითარებაში შეტანილ განსაკუთრებულ წვლილსა და დამსახურებაზე ისაუბრეს.



ვინფრიდ ბოედერი: ეროვნულ და უცხოურ მეცნიერებას შორის გაცვლა მდგომარეობს არა მხოლოდ ზრდილობიან ქებაში, არამედ უსურველად უნდა იქნას დიალოგი. მისი მიზანია, რომელიც უნდა იქნას დიალოგი.

წერილობითი მიმართვა ვინფრიდ ბოედერს

საიუბილეო ღონისძიებაზე პროფესორმა დარეჯან თვალთვაძემ მეცნიერის ხანგრძლივ მოღვაწეობაზე ისაუბრა და დამსწრე საზოგადოებას გააცნო ბატონ ვინფრიდ ბოედერისადმი მიძღვნილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადრეგის, სადაც ნათქვამია: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი განსაკუთრებული მადლიერებითა და დღეგრძელობის სურვილით მოგილოცავთ დაბადებიდან 80 წლის იუბილესა და გისურვებთ მხნეობასა და მომავალ წარმატებულ საქმიანობას. ჩვენ დიდად ვაფასებთ ქართველოლოგიური დარგების წინაშე თქვენს დამსახურებასა და ღვაწლს. ამ მიმართულებით კვლევის განვითარებისათვის ხუთ ათეულ წელზე მეტია, რაც რუდუნებით იღვწით.

თქვენს მდიდარ ბიბლიოგრაფიას, რომელიც მოიცავს ქართველოლოგიის სხვა არამონათესავე ენათა მასალაზე მაღალი პროფესიონალიზმით გაანალიზებულ თეორიულ ლინგვისტიკის, გრამატიკის, სოციოლინგვისტიკის, სემანტიკისა და პრაგმატიკის საკითხებს, ლინგვისტიკური შრომების თარგმანებს, სახელმძღვანელოდ იყენებენ არა მხოლოდ კონკრეტული დარგის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები, არამედ ტიპოლოგიურ და ინტერდისციპლინარულ კვლევებში ჩართული ფართო პროფილის სპეციალისტებიც. საქმის ცოდნისა და სიყვარულის, სამეცნიერო მუშაობის შესაშური სიხუსტისა და კოლეგიალობის დასტურად თქვენ მიერ შედგენილი კავკასიოლოგიური ლიტერატურის უმდიდრესი ბიბლიოგრაფიაც იკმარებს, რომლისთვისაც დახარჯული დრო და ენერჯია არა მარტო პატივისცემასა და მადლიერებას, არამედ გაოცებასა და აღფრთოვანებას იმსახურებს.

წლების განმავლობაში ოლდენბურგის უნივერსიტეტში კავკასიოლოგიური საკითხებზე თქვენ მიერ ჩატარებული სიმბოზიუმები სამეცნიერო პრობლემების საერთაშორისო სტანდარტებით განხილვისა და დისკუსიის ჰუმანიტარული სკოლა გახლავთ, რომლის გამოცდილებაზეც მეცნიერთა თაობები გაიზრდებიან. ამ ღირსშესანიშნავ თარიღს ვულოცავთ თქვენს მეუღლეს, უადრესად სათნო და კეთილშობილ ქალბატონს დორისს, ვისთან ერთადაც გულთბილი მასპინძელი ბრძანდებით საქართველოდან თუ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან გერმანიის პატარა ქალაქ ოლდენბურგში ჩამოსული კავკასიოლოგებისა და ქართველოლო-

ცნობები პროფესორ ვინფრიდ ბოედერის შესახებ

თანამედროვე უცხოელ ქართველოლოგთა შორის ვინფრიდ ბოედერს გამორჩეული ადგილი უჭირავს. პირველი სერიოზული გამოკვლევა ბოედერმა 1968 წელს დაიწყო ჰამბურგში „ქართული ზმნის ძვინის შესახებ“. მას შემდეგ მან არაერთი შრომა გამოაქვეყნა როგორც ქართულ, ისე პრესტიჟულ საზოგადოებაში უზრუნველყო. მათ შორის აღსანიშნავია „ქველი ქართული ენის ანბანის ანალიზი“ (1975 წ.), „ქართული ბერძენი ათონის მთაზე და ქართული სამხრეთ ენის ისტორია“ (1983 წ.), „ქართული ენის ენის წარმოშობის შესახებ“ (1985 წ.), „საქართველო ანბანის სტრუქტურისა და ინტერპრეტაციისათვის“ (1991 წ.), „არტიკლი ქველ ქართულში“ (1997 წ.), „ენა და ვინაობა ქართველთა ისტორიაში“ (1999 წ.), „ანაფორა სვანურში“ (2001 წ.), „რუსთაველის პოეტიკა“ (2004 წ.) და „ფიქრები ქართული ენის წარმოშობის შესახებ“ (2005 წ.). 1995-2001 წლებში ბოედერი ოლდენბურგის უნივერსიტეტში მუშაობდა და ყოველ ორ წელიწადში ახყოფდა სიმპოზიუმებს თემაზე – „კავკასიური ენობრივი პრობლემები“, სადაც ინვესტა ქართველ მეცნიერებსაც. ბოედერი ნაყოფიერ მთარგმნელოვანი მოღვაწეობასაც ეწევა. აღსანიშნავია 1982 წელს გამოქვეყნებული გერმანული თარგმანი თ. გამყრალიძის და ბ. მაჭავარიანის მომგებარებისა „სონანთთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში“. ვინფრიდ ბოედერი ამაყად იხსენიებს მონაწილეობას რამდენიმე ქართულ-გერმანულ ერთობლივ სამეცნიერო პროექტში. არის ინგლისურენოვანი ქართული სამეცნიერო ჟურნალ „ქართველოლოგის“ რედაქტორის წევრი.

ზოგადად, ლინგვისტიკის სადარაჯოზე, – აღნიშნულია იოსტ გიპერტის მისალოც გზავნილში. დაბადების დღე მიულოცა თანამემამულე კოლეგას ჰაინც ფერნიხმაც.

საყვადურნარევი სუბრობა

აკადემიკოსმა მხეკალა შანიძემ ქართველოლოგიის დარგის განვითარების საქმეში ვინფრიდ ბოედერის წვლილზე ისაუბრა: „ქართველოლოგიის დარგების კვლევა უნივერსიტეტში დაარსებისთანავე დაიწყო. მანამდე ერთიანი სამეცნიერო სკოლა არ არსებობდა. დღეს კი ქართველოლოგიური სკოლა მნიშვნელოვანი და ძლიერია, რომელსაც თავისი განმტკიცებელი ევროპაშიც აქვს. წლების განმავლობაში თვალყურს ვადევნებდი მის მოღვაწეობას და შემძლია ვთქვა, რომ ეს ჩუმი, წყნარი, თავმდაბალი კაცი რეალურად ჩვენი თანამედროვე ენათმეცნიერების ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტია. ვინფრიდ ბოედერის სახით გვყავს მეცნიერი, რომელსაც შეიძლება კლასიკოსი მეცნიერი ვუწოდოთ. ქართველოლოგიის ენების შესწავლასთან ერთად, მან ძალიან ბევრი კარგი საქმე გააკეთა უცხოეთში, სადაც ნაკლებად ცნობილია ქართველოლოგია, რასაც თავისი მიზეზები ჰქონდა. ვინფრიდ ბოედერმა საკუთარი წვლილი შეიტანა დარგის განვითარებაში და სულ სხვა ასპექტით დაიწყო ქართველოლოგიური კვლევები – ეს გახლავთ ენის სოციალური ისტორია. 1983 წელს მან დაწერა წერილი ათონის ქართველ მოღვაწეთა შესახებ, სადაც აღნიშნა – თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მათ საქმიანობას კულტუროლოგიური თვალსაზრისით. მასთან დიდი ხნის ნაცნობობა მაკავშირებს. ერთხელ მას წერილი მივწერე უცხო ენაზე, რის გამოც საყვადურნარევი ხუმრობით მომწერა: – ცოტა ქართული მეც ვიცო! – ამის შემდეგ ხანმეტ კილოზე დაწერილი წერილი გავუგზავნე, რამაც ძალიან გაახარა. ჩვენ პატივს ვცემთ მის მეცნიერულ საქმიანობას და მის ადამიანურ თვისებებს. მონაწილე ვარ, რომ მომეცა საშუალება – მისთვის დაბადების დღე მიმელოცა“.

ვინფრიდ ბოედერის ბოლოდროინდელი შრომების მნიშვნელობაზე ისაუბრა აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ: „მისი მოღვაწეობის შესახებ ჩვენთვის კარგად არის ცნობილი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მის მიერ ბოლო დროს გამოქვეყნებული განმარტობაში გაეგრძელებინოს სამეცნიერო მოღვაწეობა, რათა თავისი უსახლგრო ცოდნით, გამოცდილებითა და კრიტიკული შეფასებებით კვლავაც დიდხანს იდგეს კავკასიოლოგიის და,

გებისათვის. ბატონ ვინფრიდ, თქვენ ქართველოლოგიის ჰუმანიტარული კლასიკოსი ბრძანდებით, რომელმაც მეცნიერებაში შექმნა ისტორია, გაუსწორდროს და მუდმივად ეხმინება მომავალს“, – ნათქვამია ადრესში, რომელსაც ხელს თსუ-ს რექტორი გიორგი შარვაშიძე აწერს.

უცხოელი ქართველოლოგის გების შეფასებები

დაბადების დღეზე ცნობილმა ქართველოლოგმა უამრავი მილოცვა მიიღო სხვა უცხოელი ქართველოლოგებისგანაც, რომლებიც მაღალ შეფასებას აძლევდნენ მის საქმიანობას ამ დარგში. „პროფესორი, დოქტორი ვინფრიდ ბოედერი ნამდვილად არაჩვეულებრივი მეგობარი და მცოდნეა ქართველოლოგიის ენებისა. წლების მანძილზე მან ნაყოფიერად გამოიკვლია ისტორიულ-ტიპოლოგიურ-შედარებითი თვალსაზრისით თითქმის ყველა პრობლემა ქართველოლოგიის ენებისა, განსაკუთრებით ქართულისა და სვანურის. ჩემთვის საამაუოა, რომ ბატონი ვინფრიდის თანასაპატიო დოქტორი ვარ თქვენი უნივერსიტეტისა. სულითა და გულით ვუსურვებ მას კიდევ დიდხანს მოღვაწეობას“, – ასე მიულოცა ცნობილმა ფრანგმა ქართველოლოგმა ბერნარ უტიემ დაბადების დღე თავის კოლეგას. ფრანკფურტის გოეთეს სახელობის უნივერსიტეტის ემპირიული ენათმეცნიერების ინსტიტუტის და განსაკუთრებით კავკასიოლოგიის განყოფილების თანამშრომლების სახელით მეცნიერს დაბადების დღე მიულოცა იოსტ გიპერტმაც. „ჩვენთვის ყველასთვის კარგად არის ცნობილი, თუ როგორი შემართებითა და ენერჯით იღვწის იგი ათწლეულების განმავლობაში კავკასიოლოგიის განვითარებისა და ხელშეწყობისათვის. ჩვენთვის, როგორც კოლეგებისთვის, ისე სტუდენტებისთვის, მისი სამეცნიერო ნაშრომები უმნიშვნელოვანეს საბაზისო კვლევებს წარმოადგენს. ვისურვებდით, რომ ბატონ ვინფრიდს კიდევ მრავალი წლის განმავლობაში გაეგრძელებინოს სამეცნიერო მოღვაწეობა, რათა თავისი უსახლგრო ცოდნით, გამოცდილებითა და კრიტიკული შეფასებებით კვლავაც დიდხანს იდგეს კავკასიოლოგიის და,

ვაწეობით მან მნიშვნელოვნად გაამდიდრა ქართველოლოგიური დარგი. ვუსურვებ მას შემოქმედებით წარმატებებს“.

პროფესორ ვინფრიდ ბოედერის მოღვაწეობა შეაფასეს და გერმანულ მეცნიერს დაბადების დღე მიულოცეს თსუ-ს პროფესორებმა: ავთანდილ არაბულმა, ელგუჯა ხინთიბიძემ, რამაზ ჭურდაძემ, დამანა მელიქიშვილმა, შუქია აფრიდონიძემ, მარიკა ჯიქიამ, იზა ჩანტლაძემ. მადლიერებით აღინიშნა ბატონი ვინფრიდისა და მისი მეუღლის მიერ ქართველი კოლეგების მიმართ არაერთხელ გამოჩენილი ყურადღება, რომელიც დღესაც გრძელდება.

ვინფრიდ ბოედერის საპასუხო წერილი

ღონისძიების მონაწილეები გაეცნენ ვინფრიდ ბოედერის მაღლობის წერილს, რომელიც მან ქართველ კოლეგებს გამოუგზავნა: „დიდად პატივცემული, ძვირფასო კოლეგებო და ღონისძიების დამსწრეებო, პირველ ყოვლისა, მინდა ყველა თქვენგანს უღრმესი მადლობა ვუთხრა სრულიად მოულოდნელი მოლოცვისა და დიდი დაფასებისათვის, რაც თქვენი ღონისძიებით ქართველოლოგიის წინაშე ჩემს ღვაწლს გამოხატავს. მე არა მარტო ჩემი სამეცნიერო მუშაობის აღიარება მახარებს, არამედ ისიც, რომ თბილისის უნივერსიტეტი წარსულში მინიჭებული პატივისცემის ზოგი ნიშნის შემდეგ ხელახლა გამოაჩენს ჩემ მიმართ მის ახლოდროინდელ დამოკიდებულებას. ამ კავშირს მე ვაფასებ არა მხოლოდ როგორც ამ ქვეყნის პირველი უნივერსიტეტის გერმანულ ქართველოლოგთან ურთიერთობის გამოხატულებას, რომელმაც 44 წლის განმავლობაში უსასრულოდ ბევრი ისწავლა თავის ქართველ კოლეგებთან, არამედ როგორც მთლიანობაში ქართული და უცხოური ქართველოლოგიის ურთიერთობას. როგორც 15 წლის წინ ამ უნივერსიტეტის ერთ-ერთი აუდიტორიის წინაშე მე ვთქვი, ეს ურთიერთობა მხოლოდ იმ შემთხვევაშია ნაყოფიერი, როცა ორივე მხარე სწავლობს ერთმანეთისგან და როცა ეროვნულ და უცხოურ მეცნიერებას შორის გაცვლა მდგომარეობს არა მხოლოდ ზრდილობიან ქებაში, არამედ ეს ურთიერთობა წარმოადგენს კრიტიკულ დიალოგს თანასწორ მეცნიერთა შორის. მე თქვენს მილოცვას ვაფასებ, არა მარტო როგორც სასიხარულო აღიარებას, არამედ როგორც მოთხოვნას – გაგრძელდეს ეს დიალოგი მეგობრებს შორის, სანამ მე ვიცოცხლებ და ვიმუშავებ, – მუდამ თქვენი ვინფრიდ ბოედერი“.

ღონისძიების დასასრულს იუბილეს მონაწილეებმა სადღესასწაულო ტორტიც გაჭრეს. როგორც მათ აღნიშნეს, სახეიმი დღის ხნის ვიდუროჩანაწერს მეცნიერს მშობლიურ გერმანიაში „მშობლიური“ საქართველოდან გაუზავნიან, რაც მას ძალიან გაახარებს.

საქართველოს გარდაქმნის ახალი მიზნები – 2030

თამარ ლალიანი

ბაერთიანებული ერების ორგანიზაციამ შეიმუშავა ახალი გლობალური დღის წესრიგი, რომელიც განსაზღვრავს მსოფლიოს განვითარების პრიორიტეტებს 2015 წლის შემდეგ.

2015 წელს, მსოფლიოს სახელმწიფოთა ლიდერები შეიკრიბნენ მდგრადი განვითარების სამიტზე ნიუ იორკში (აშშ) და შეთანხმდნენ მსოფლიოს განვითარების ახალი დღის წესრიგის დოკუმენტზე სათაურით – „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“. ეს დღის წესრიგი მოიცავს 17 მიზანს და 169 ამოცანას. ისინი ორიენტირებული არიან მდგრადი განვითარების 3 ურთიერთდაკავშირებულ ელემენტზე: ეკონომიკური ზრდა, სოციალური ინკლუზია და გარემოს დაცვა. სწორედ ამ ახალი დოკუმენტის მიხედვით მიმოხილვით წარსულს გაეროს წარმომადგენელი საქართველოში ნელს სკოტი საერთაშორისო ინტერდისციპლინარულ კონფერენციაზე – „მდგრადი განვითარება 2030: ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და პოლიტიკური შემადგენელი“, რომელიც 2-6 აპრილს უკრაინის საერთაშორისო აკადემიური და სამეცნიერო თანამშრომლობის ინსტიტუტის, პოლონურ ფონდ ADD-სა და თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ორგანიზებით გაიმართა.

„მდგრადი განვითარების ახალმა დღის წესრიგმა უნდა უზრუნველყოს უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაწყვეტა ყველა ქვეყნის კეთილდღეობისთვის. მომავალი 15 წლის განმავლობაში მსოფლიომ უნდა მიაღწიოს



სულ მცირე სამ რამეს – დამთავრდეს უკიდურესი სიღარიბე, შეჩერდეს გარემოს დეგრადაცია, შემცირდეს უთანაბრობა და უსამართლობა“, – განაცხადა ნელს სკოტმა. აქვე გთავაზობთ ამონარიდს დოკუმენტიდან „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“, რის მიხედვითაც ნელს სკოტმა თავისი მოსაზრებები გაავიხარა: „ჩვენ გადავწყვიტეთ, 2030 წლამდე დავამთავროთ სიღატაკე და შიმშილი ყველგან; ვებრძოლოთ უთანასწორობას ქვეყნებში და ქვეყნებს შორის; ვაშენოთ მშვიდობიანი, სამართლიანი და ინკლუზიური საზოგადოებები; დავიცვათ ადამიანის უფლებები და ხელი შევუწყოთ გენდერულ თანასწორობას, ქალთა და გოგონათა უფლებების რეალიზებას; უზრუნველვყოთ პლანეტისა და მისი ბუნებრივი რესურსების უწყვეტი დაცვა. ჩვენ გადავწყვიტეთ, შევქმნათ მდგრადი, ინკლუზიური და გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის, გაზიარებული კეთილდღეობის, ყველას ღირსეული სამუშაოთი უზრუნველყოფის პირობები,

ეროვნული განვითარების სხვადასხვა დონისა და შედეგების გათვალისწინებით“, – ნათქვამია დოკუმენტში.

კონფერენცია დაიგეგმა და მომზადდა უკრაინისა და პოლონეთის საერთაშორისო აკადემიური და სამეცნიერო თანამშრომლობის ინსტიტუტის წარმომადგენლებისა და ორგანიზატორების: ოქსანა ცმოცის, იანა იანოვსკაიას და თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის თეა მუნჯიშვილის მიერ, ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ თეიმურაზ ბერიძის ხელშეწყობით. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს უკრაინის სხვადასხვა უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლებმა, რომლებიც ქართველი კოლეგების დახმარებით გაეცნენ საქართველოში არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას. ისინი შეხვდნენ თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიურ წრეს, მოისმინეს პროფესორ გიორგი ლაღანიძის მოხსენება – „საქართველოს საგარეო ვაჭრობის ზეგავლენა ეკონომიკურ მდგრადობაზე“, სადაც მომხსენებელმა

საგარეო ვაჭრობის თავისებურებებსა და ტენდენციებზე ისაუბრა.

თსუ-ს პროფესორმა ელგუჯა მექვაბიშვილმა მოხსენებაში – „ეკონომიკური რეფორმების ეკლიანი გზები პოსტ-კომუნისტური საქართველოს შემდგომ პერიოდში“ – განიხილა საქართველოს ეკონომიკური გარდაქმნების ისტორია სსრკ-ს დაშლის შემდგომ, ასევე გეგმიური ეკონომიკიდან ლიბერალურ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და ევრო-კავშირთან ინტეგრაციის მცდელობები.

საინტერესო იყო პროფესორ იოსებ ხელაშვილის მოხსენება – „საქართველოს მდგრადი ეკონომიკური განვითარება ტურიზმის როლსა და მნიშვნელობაზე“, სადაც მომხსენებელმა ხაზი გაუსვა ტურიზმის გადამწვეტ მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნისთვის, ვინაიდან მას დასაქმების მხარე შესაძლებლობები და ადგილობრივი ბიზნესისთვის დიდი ფულადი შემოსავლები მოაქვს.

კონფერენციაზე მდგრადი განვითარების (2030 წ.) ეკონომიკურ, სოციალურ, ეკოლოგიურ და პოლიტიკურ ასპექტებზე ისაუბრეს მომხსენებლებმა: დავით ადვადემ, აივან პენტაკმა, პროფესორებმა: ანა ხანიმ, ალექსანდრე ზლადენკომ, ირინა ტაჩუკმა და სხვებმა.

კონფერენციის ბოლოს უკრაინელმა ეკონომისტებმა დიდი მადლობა გადაუხადეს ქართველ კოლეგებს აქტიური და ეფექტური თანამშრომლობისთვის და აღნიშნეს, რომ ქართველი მეცნიერების კვლევის შედეგები მსოფლიო ეკონომიკურ წრეებში დიდ ყურადღებას იმსახურებს, ასევე, ქართველი კოლეგების მოსმენა და გამოცდილების გაზიარება მნიშვნელოვანია გლობალიზაციის პროცესში ჩართული ქვეყნების ეკონომიკური ვექტორის განსაზღვრისთვის.

ახალ გამოცემას საშვიდობო როლიც აქვს

ნატო ობოლაძე

ბამოიცა „ქართულ ოსური და ოსურ-ქართული ლექსიკონი“, რომლის თსუ-ს სააქტო დარბაზში წარდგინებასაც უამრავი საინტერესო სტუმარი და ამ გამოცემის მნიშვნელობის სათანადოდ აღმქმელი აუდიტორია დაესწრო. ლექსიკონის შემდგენელი და მთავარი რედაქტორი ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი, პროფესორი ნაირა ბეპიევი გახლავთ. მის გამოსაცემად, ასევე, დიდი წვლილი შეიტანეს ქართველმა და ოსმა მეცნიერებმა: აკად. ნაფი ჯუსოითმა, აკად. ავთანდილ არაბულმა, პროფ. თამერლან გურიევმა, პროფ. ნინო პოპიაშვილმა; ოსმა და უცხოელმა რეცენზენტებმა და კონსულტანტებმა: აკად. თამაზ გამყრელიძემ, პროფ. სონია-გიპერტ ფრიტცმა, პროფ. თინათინ მარგალიტაძემ; ოსური ენის სპეციალისტებმა: დოკ. ევგენი ბოცოევმა, რაზიათ ჭუმარიტოვამ, მერი ცხოვრებოვამ.

ქართულ-ოსური და ოსურ-ქართული ლექსიკონის გამოცემა სრულიად ახალი მოვლენაა ქართველებისა და ოსების კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიაში. წიგნი გამორჩევა მაღალი აკადემიზმით, მას ახლავს ორენოვანი ლექსიკონისთვის აუცილებელი სამეცნიერო აპარატურა. წიგნი შედგენილია ლექსიკონების შედგენის თანამედროვე მეთოდოლოგიისა და პრინციპების გათვალისწინებით. ფასეულია, რომ წიგნს ახლავს ოსური ენის მოკლე გრამატიკული ცნობარი (აკად. ვ. აბაევისა) და ქართული ენის გრამატიკული ნარკვევი (აკად. ა. არაბული). ეს ლექსიკონი დიდი შენაძენია როგორც ქართველი,



ოსი მეცნიერებისთვის, სტუდენტ-ახალგაზრდობისთვის, მკვლევართათვის, ასევე ამ ენებით დაინტერესებული მკითხველისთვის.

ქართულ-ოსური და ოსურ-ქართული ლექსიკონები პირველად გამოიცა 2012 წელს ევროკავშირის, გაეროს განვითარების პროგრამა „კობერმის“ ხელშეწყობით. ბუნებრივია, მკითხველთა დიდი ინტერესიც გამოიწვია. წიგნი მეორედაც გამოიცა და მალევე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. მასზე მოთხოვნილებამ განაპირობა მისი მესამედ გამოცემა. ამჯერად წიგნში მცირე შესწორებები შესულა.

გამოცემის მნიშვნელობაზე ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი, პროფესორი ნაირა ბეპიევი გვგვასუბრა: „წიგნი მრავალწლიანი შრომის შედეგია და, საკუთრივ, ლექსიკონის შედგენის სიძნელეებთან ერთად, გვიხდებოდა ეპოქალური, დროისმიერი სიძნელეების გადალახვა: ლექსიკონზე მუშაობა გვიწვედა ქართველებისა და

ოსებისათვის საკმაოდ რთულ პერიოდში, გაძნელებული მიმოსვლისა და კონტაქტის თანამდევ სირთულეების ფონზე, მაგრამ საქმისადმი ქართველი და ოსი კოლეგების უაღრესად მაღალი მეცნიერული პასუხისმგებლობა გახდა ამ წიგნის შექმნისა და გამოცემის წინაპირობა. მთავარი იყო მიზანი, რასაც წიგნის გამოცემები ისახავდნენ, შევესო ამ მიმართულებით არსებული ვაკუუმი: მკითხველს მიეღო წლების განმავლობაში უაღრესად საჭირო და მოთხოვნილი სახელმძღვანელო – ორენოვანი ქართულ-ოსური და ოსურ-ქართული ლექსიკონი, ამავე დროს, მას მაღალი იდეაც ჰქონდა, ეს იყო ორივე ენის – ქართული და ოსური ენების პოპულარიზაცია.

წიგნი, უპირველესად, საგანმანათლებლო დანიშნულებისაა, მაგრამ მას დიდი მისიაც აკისრია: ქართულ-ოსური ურთიერთობის თანამედროვე, ურთულეს ეტაპზე მას სამშვიდობო როლიც აქვს – ის ნდობის აღდგენისკენ მიმართული ერთ-ერთი მშვიდო-

ბიანი ნაბიჯია. ამისი გამოხატულებაა ამ წიგნის წინასიტყვაობაში ნათქვამი აკად. ნაფი ჯუსოითის სიტყვები: „ჩვენს ხალხებს წარსულში მეზობლურად, მეგობრულად უცხოვრიათ. რაკი ეს ასეა, მაშინ დღესაც, ჩვენს დროშიც, ჩვენს შემდეგაც საჭიროა კეთილმეზობლური ცხოვრებისკენ სწრაფვა: მტრობითა და ბოროტებით ხომ ჯერ არასდროს არავის არაფერი მოუგია“. ალბათ, ძნელია ამაზე უკეთ ამ წიგნის გამოცემის მიზნისა და იდეის ჩამოყალიბება“, – აღნიშნა პროფესორმა.

„ნართების თქმულებები ბავშვებისათვის“

კიდევ ერთი სიახლე – გამოიცა წიგნი – „ნართების თქმულებები ბავშვებისათვის“, რომელიც შეადგინა და ქართულ ენაზე თარგმნა ფილოლოგიის დოქტორმა, პროფესორმა ნაირა ბეპიევმა. წიგნის მთავარი რედაქტორია თსუ-ს ფილოლოგიის დოქტორი ნინო პოპიაშვილი. მის გამოცემაში დიდი წვლილი მიუძღვით აკად. ნაფი ჯუსოითს, პროფ. ზურაბ კიკნაძეს, რაზიათ ჭუმარიტოვს, მერი ცხოვრებოვას და სხვებს. „ნართების თქმულებები ბავშვებისათვის“ როგორც ქართულ ენაზე, ისე ოსურ ენაზეც 150-150 ცალი გამოიცა. წიგნები დარბილად რეგონებში, თბილისის სკოლებსა და ბიბლიოთეკებში. ნაწილი გაიგზავნა ცხინვალსა და ვლადიკავკაზში.



ახალ გამოცემას საგზიდრო რეგულირების აქტს

მე-11 გვერდიდან

წიგნის ყველა გვერდი ფერადია და ბავშვებისათვის საინტერესოდ აღსაქმელი. ბავშვობის ასაკიდან შეთვისებული ნართების ეპოსი უკეთ აცნობს ბატარა მკითხველს ნართების სამყაროსათვის დამახასიათებელ ტრადიციებს, რომელშიც საერთო კავკასიური მრავალი წეს-ჩვეულება იკითხება: სტუმართმოყვარეობა, უფროს-უმცროსობა, სიკეთის თესვა, ძმობა-მეგობრობა და სხვ. ამ წიგნმა გააერთიანა ქართველი და ოსი მხატვრები, ილუსტრატორები, სხვადასხვა უნარში მომუშავე ხელოვანები. წიგნი გაფორმებულია როგორც ქართველი, ისე ოსი მხატვრების ნამუშევრებით. წიგნი ამშვენებს დიდი ოსი მხატვრების – მახარბეგ თულანოვისა და აზანბეგ ჯანაივის ნახატები.

გამოცემის მნიშვნელობასა და დანიშნულებაზე ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი, პროფესორი ნაირა ბეპიევი გვსაუბრა.

ნაირა ბეპიევი:

– ნართების ეპოსი შედგება უძველესი თქმულებებისგან, რომელიც კავკასიის სხვადასხვა ხალხებში გვხვდება, თუმცა გამორჩეული მნიშვნელობა აქვს სწორედ ოსური ნართების თქმულებებს. ეს არის პოეტუ-



რი და პროზაული თქმულებები, რომელიც ნართი ხალხების ამბებსა და საგმირო თავგადასავლებს გადმოგვცემს.

ოსური ნართების ეპოსის თარგმნას ქართულ ენაზე თავისი საინტერესო ისტორია აქვს. პირველად ნართების ეპოსის პოეტური ვერსიის ნაწილი უთარგმნიათ გ. ლეონიძეს, ს. ფაშალიშვილსა და ს. გორგაძეს XX საუკუნის 40-იან წლებში პეკარედიდან. ამ თარგმანს თავისი ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ნართების თქმულებები XX საუკუნის 80-იან წლებშიც გამოიცა (მთარგმნელი მ. ცხოვრებოვა) ეს თარგმანი ეფუძნებოდა 1946 წლის ოსურენოვან გამოცემას. სულ ახლახან, 2007-2012 წლებში, ცნობილი ოსი მეცნიერების, პროფესორების თამარ

ხამიცაევას და შამილ ჯიგაევას მრავალწლიანი შრომის შედეგად ვლადიკავკაზში გამოვიდა ნართების თქმულებების შვიდტომიანი ოსურ ენაზე. ამ გამოცემაში შეტანილია მრავალი ახალი თქმულება, ცნობილ თქმულებათა უცნობი ვარიანტები, კომენტარების ახლებური გააზრება. სწორედ ამ ახლად გამოცემული ნართების თქმულებათა შვიდტომიანი და გამოცემით ორ წიგნად, აკადემიური კომენტარებით, შენიშვნებითა და განმარტებებით ქართულ და ოსურ ენებზე. წიგნი 2015 წელს გამოიცა ევროკავშირის, გაეროს განვითარების პროგრამა „COBERM“-ის ხელშეწყობით, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით მათ.



ადაპტირებული ტექსტი – „ნართების თქმულებები ბავშვებისათვის“ აქამდე არ გამოცემულა. სათაურიდანვე ჩანს, რომ ეს არის ბავშვებისათვის, მოზარდებისთვის განკუთვნილი წიგნი, რომელშიც წარმოდგენილია ნართების, ოსთა წინაპრების იდეალები, მისწრაფებები, მათთვის დამახასიათებელი წეს-ჩვეულებები, საგმირო თავგადასავლები და სხვა. ნართების ეპოსის ასეთი გამოცემა ნამდვილად განსაკუთრებულია. ეს ეპოსი ეკუთვნის ბავშვებს, ახალგაზრდებს, მოზარდებს, რომლებიც თვითონ წაიკითხავენ და გაეცნობიან იმ მარადიულ ღირებულებებსა და ფასეულობებს, რაც ნართების ეპოსშია მოთხრობილი. ცნობილია მსოფლიო შედეგების ადაპტირებული

გამოცემები. დავასახელებდი ბიბლიის საბავშვო გამოცემებს: „საბავშვო ბიბლიას“, ანტიკური ეპოსის, ჰომეროსის „ილიადასა“ და „ოდისეას“ ადაპტირებულ ვერსიებს. ცნობილია შექსპირის ნაწარმოებების საბავშვო გამოცემები, სპეციალურად ბავშვებისათვის არის გამარტივებული გოეთეს „ფაუსტი“, რომელიც არაერთხელ გამოიცა გერმანიაში, ავსტრიაში, შვეიცარიაში და სხვა. დღეიდან ნართების ეპოსიც სწორედ ამ დიდი ნაწარმოებების საბავშვო გამოცემების გვერდით დაიკავებს ადგილს, რაც ნამდვილად მისასალმებელია. ნართების საბავშვო ქართული გამოცემა თანამედროვე ქართული ენით მოგვითხრობს გმირების თავგადასავალს, თუმცა მასში შენარჩუნებულია ოსურისთვის დამახასიათებელი ადათები, საკუთარი სახელები და გეოგრაფიული სახელები. ეს არის მართლაც ღრმა შინაარსისა და მაღალი ხარისხის გამოცემა.

წიგნების პრეზენტაციას თსუ-ს რექტორის მოადგილე მიხეილ ჩხენკელი, სტუდენტები, პროფესორები, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენლები საქართველოში და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

ახალი ნიგნი თაროზე

ქართული დემოკრატიის ისტორიული გამოცდილება

მანია ბორაძე

11 აპრილს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კრებულის – „პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში“ – პრეზენტაცია გაიმართა.

კრებულში თავმოყრილია ინფორმაცია და დოკუმენტური მასალები დამფუძნებელი კრების 1919 წლის 14-16 თებერვლის არჩევნებისა და 1919 და 1920 წლის დამატებითი არჩევნების შესახებ. აქვე წარმოდგენილია მასალები დამფუძნებელი კრების ცენტრალური საპარლამენტო საარჩევნო კომისიის შემადგენლობის, კომისიის საქმიანობის, არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტების შესახებ, აქვე არის უშუალოდ საარჩევნო კამპანიის მასალები და არჩევნების შედეგების ამსახველი დოკუმენტები.

კრებულის წარდგენას თსუ-ის რექტორის მოადგილე მიხეილ ჩხენკელი, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე თამარ ჟვანია, პროფესორები, სტუდენტები, ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრები დაესწრნენ.



რაშიღმა, რომელმაც მადლობა გადაუხადა კრებულის ავტორებს სალომე ჭანტურიძესა და ირაკლი ირემიძეს, ასევე ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელობას და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდს (IFES): „დემოკრატიული საქართველოს პერიოდს ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ რამდენიმე ხნის წინ. ამას საფუძველი დაუდო დემოკრატიული რესპუბლიკის კვლევის განყოფილების შექმნამ და ქართველი ემიგრანტის მამია ბერიშვილის არქივის გადმოცემამ. სწორედ ამ განყოფილების ახალგაზრდა თანამშრომელთა აქტივობით გამოიცა კრებული, რომელშიც, გარდა საარჩევნო მასალებისა, შევიდა ჩვენს ბიბლიოთეკაში დაცული პერიოდული გამოცემების მასალებიც“ – აღნიშნა მან.

უნივერსიტეტს და საზოგადოებას კრებულის გამოცემა მიულოცა რექტორის მოადგილე მიხეილ ჩხენკელი, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნების ისტორიული მნიშვნელობა. „დარწმუნებული ვარ,

ყველა ინტერესით გაეცნობა ამ კრებულს. ისიც აღსანიშნავია, რომ იგი ორენოვანია და მისი გაცნობის შესაძლებლობა ჩვენს უცხოელ მეგობრებსაც შეეძლება“, – აღნიშნა მან.

პრეზენტაციაზე საზოგადოებას ასევე მიმართეს საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) პროექტის ხელმძღვანელმა საქართველოში ჟერომ ლერომ და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ, რომელმაც პირველი დემოკრატიული არჩევნების ისტორიულ როლზე ისაუბრა და გამოკვთა, რომ 1919 წლის არჩევნები ჩვენი ქვეყნის ისტორიის ნაწილია და ისტორიის პოპულარიზაციას ემსახურება. „მომავალ თაობას უნდა ახსოვდეს ჩვენი პირველი საარჩევნო ისტორია, რომელიც მნიშვნელოვანი და გამორჩეული იყო თავისი ტოლერანტობით, ქალთა ჩართულობით“, – განაცხადა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ.

კრებულის თანაავტორმა სალომე ჭანტურიძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ ამ წიგნის მომზადების იდეა გაჩნდა მას შემდეგ, რაც გასულ წელს თსუ-ს ბიბლიოთეკამ მოაწყო გამოფენა, რომელიც პირველ დემოკრატიულ არჩევნებს ეძღვნებოდა. „მანამდე წარმოდგენილი გვქონდა მასალები, რომლებიც მოვიძიეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულ შურონალ-გაზეთებსა და საქართველოს ეროვნულ არქივში. კრებული შევასეთ და სრულყოფილი ინფორმაცია გამოვეცით პირველ არჩევნებზე საქართველოში... კრებული არის ილუსტრირებული და მასში მოთავსებულია მასალები ჩვენი პერი-



ოდული გამოცემებიდან. გარდა ცნობებისა და დოკუმენტებისა, მოცემულია ინფორმაცია ყველა პოლიტიკური სუბიექტის შესახებ (15 პარტია მონაწილეობდა). აქვე ნახავთ პლაკატებს, ლექსებს, იმ პერიოდის დამფუძნებელი კრების წევრების ფოტოებს და სააგიტაციო მასალებს“, – აღნიშნა სალომე ჭანტურიძემ.

თსუ-ს ბიბლიოთეკის თანამშრომელმა ირაკლი ირემიძემ, რომელიც ასევე კრებულის ავტორია, განსაკუთრებით გამოკვთა ის ტენდენციები, რომელიც პირველი დემოკრატიული არჩევნების დროს იყო შესამჩნევი: „ეს კრებული ასახავს ყველა იმ ღირებულებას, რითაც პირველი არჩევნები მსოფლიომ აღიარა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე დემოკრატიული პროცესი იმ პერიოდში და ეს არ არის მხოლოდ ქართველ პოლიტოლოგთა მოსაზრება. ამაზე წერდნენ ბრიტანეთის მაშინდელი პრემიერ-მინისტრი რემუი მაკდონალდი, ბელგიის პრემიერ-მინისტრი კამილ ჰიუნსმანსი და ერთ-ერთი დიდი თეორეტიკოსი კარლ კაუცი. ისინი იმ პერიოდის საქართველოს სტუმრობდნენ და



თავისი თვლით ნახეს, როგორ დგამდა პირველ ნაბიჯებს ახალგაზრდა დემოკრატიის ქვეყანა. ჩვენ მაშინდელი პროცესებიდან ბევრი რამის გადმოღება შეგვიძლია დღესაც, იქნება ეს საკანონმდებლო ნორმატივები, ქალთა და ეთნიკური უმცირესობების ჩართულობა პოლიტიკურ პროცესებში და სხვ. მართალია, 70-წლიანმა წყვეტამ შეანელა ჩვენი სვლა დემოკრატიისკენ, მაგრამ იმ პერიოდის დემოკრატიული არჩევნები იმის მანიშნებელია, რომ საქართველოს აქვს დემოკრატიის ისტორიული გამოცდილება“, – განაცხადა ირაკლი ირემიძემ.

კრებული, საარჩევნო დოკუმენტებისა და პერიოდულ გამოცემებში დაბეჭდილი მასალების გამოყენებით, მომზადდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მიერ. ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) პუბლიკაცია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით გამოიცა.

ამგვარი წიგნი სანატორი ჰქონდა ჟურნალისტიკას დასაფუძვლად სხუდნებთა არაერთ თაობას

თამარ ლაღინი

საქართველოში პროფესიონალი ჟურნალისტიკის მომზადებას ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს. მთელი ამ ხნის განმავლობაში იცვლებოდა არა მარტო ჟურნალისტიკის როლი და ადგილი, არამედ მისი არსიც. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანი გახდა ისეთი სახელმძღვანელოების მომზადება, რომელიც უზრუნველყოფდა თანამედროვე დროის მოთხოვნებს და ქართული დემოკრატიის განვითარებას, რომელსაც აუცილებლად სჭირდება კარგი ჟურნალისტიკა ფაქტების სწორად გაანალიზებისა და მიწოდებისთვის. სწორედ ასეთი სახელმძღვანელო – „ჟურნალისტიკა“ – პრეზენტაცია გაიმართა 11 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.



ქართულ-ფრანგული პროექტის ფარგლებში გამოცემული წიგნის შექმნისა და გამოცემის იდეა ეკუთვნის პროფესორ მარინე ვეკუასა და ისტორიის დოქტორს, განათლების მეცნიერებათა (რეიმ-შამპან-არდენის უნივერსიტეტი, საფრანგეთი) და ევროპეისტიკის (მატიე ბელის უნივერსიტეტი, სლოვაკეთი) პროფესორს ჟილ რუსს. წიგნის პირველი გამოცემა 2013 წლით თარიღდება.

სახელმძღვანელო საქართველოში არსებულმა ყველა მედია სკოლამ აიტაცა და თავის სასწავლო პროგრამებში ჩასვა. სახელმძღვანელო პოლიფუნქციურია და მრავალ მიმართულებას მოიცავს. რაც მთავარი და ხაზგასასმელია, ეს წიგნი არ არის უცხოური სახელმძღვანელოს თარგმანი, ის ქართულ რეალობასა და მაგალითებზეა დაფუძნებული. ბოლო პერიოდში ჩატარებული კვლევები ადასტურებს, რომ მედია-განათლების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა მარტო ქართულენოვანი სახელმძღვანელოების არ ქონაა, არამედ ქართულ რეალობაზე მორგებული სახელმძღვანელოების დეფიციტია. წიგნი ამ მოთხოვნებს ბრწყინვალედ პასუხობს. სახელმძღვანელოში მოცემული ყველა მაგალითი ქართული სინამდვილიდანაა აღებული. – განაცხადა ნინო ჭალაგანიძემ.

პროექტის იდეის ავტორმა მსმენელს წიგნის პირველი გამოცემის პრეზენტაციასა და განხილვებზეც მოუთხოვა და წიგნზე მუშაობის პროცესის თავისებურებებზეც ისაუბრა. „პროექტი მოიცავს ჟურნალიზმის ყველა მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც კი წამოჭრილა დაფუძნებულ მთავარ მიზანს – ქართული მედიის განვითარების ხელშეწყობას. მეორე გამოცემა გამოირჩევა სიხლეებით, რომელიც შეიძლება 4 ძირითად პუნქტად გამოვყოთ. ესენია: სოციალური გაგების ზოგადი თანამედროვე თეორია; ინტერვიუ, როგორც განსაკუთრებული მეთოდი; უახლესი ლიტერატურა, წყაროები, მონაცემები და „ახალი მედიის“ განახლებული ნაწილი. წიგნში განხილულია პრესის, ტელევიზიის, რადიოს, ფოტოგრაფიის, კინემატოგრაფიის და ინტერნეტმედიის წარმოშობისა და განვითარების ისტორია და ჟურნალისტიკის როლი საზოგადოებრივი აზროვნების, ეროვნული და სახელმწიფოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაში. წიგნში ასევე დიდი ადგილი ეთმობა ჟურნალისტიკის ეთიკისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებს“, – აღნიშნა მარინე ვეკუამ.

ვასილ კაჭარავამ, დიდი ჩიკვილაძემ, ჟურნალისტიკა კავშირის თანათავმჯდომარემ მარინე გიგინეიშვილმა და სხვებმა. მათ ერთხმად აღნიშნეს, რომ ამ სახელმძღვანელოში განხილული საკითხების ღრმა გააზრება ამაღლებს მომავალი ჟურნალისტიკის პროფესიული დონის ტაქტების დონეს.

„ჟურნალისტიკაში ქართულ ენაზე ასეთი მასშტაბური და მრავალფეროვანი სახელმძღვანელო პირველად მომზადდა და გამოიცა. საგულსხმოა, რომ სახელმძღვანელოს ყოველი თავი შევსებულია ქართული მასალით და მისადაგებულია დასავლურ მიღწევებთან. წიგნი ინფორმაციულად და თემატურად მრავალფეროვანია. მასში ჟურნალისტიკის მნიშვნელოვანი საკითხები ვრცელი ისტორიული და ფაქტობრივი მასალის საფუძველზეა გაანალიზებული. გულწრფელად მჯერა, რომ წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს ჟურნალისტიკის დანიტერესებულ სტუდენტებს და საინტერესო იქნება ფართო საზოგადოებისთვისაც“, – ასეთ შეფასებას აძლევს წიგნს აკადემიური დოქტორი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანი ნესტან ციციშვილი.



პროფესიონალურად ჩამოყალიბებისათვის, – აღნიშნავს მარკო ბორსოტი.

„დაბეჭივით შემოძლია განაცხადი, რომ ამგვარი წიგნი სანატორი ჰქონდა ჟურნალისტიკას და დასაფუძვლად სხუდნებთა არაერთ თაობას. ჯერ იყო და, რუსულიდან გადმოქართულებული, რუსული მაგალითებით გაძივლილი სახელმძღვანელოებით გვასწავლიდნენ ქართულ ჟურნალისტიკას, შემდეგ რუსულ სახელმძღვანელოებს დასავლური ჩანაცვლა და ახლა ამათი გაქართულებული თუ ორიგინალური ვერსიებით გაიცაო ჟურნალისტიკის სილაბუსები“, – წერს ჟურნალისტი და მკვლევარი პაატა ნაცვლიშვილი წიგნის წინასიტყვაობაში და მას „ქართული რეალობის გათვალისწინებით“ შექმნილ პირველ ჟურნალისტურ სახელმძღვანელოს უწოდებს.

სახელმძღვანელო, რომელიც 11 თავისაგან შედგება, შექმნილია 9 უმაღლესი სასწავლებლის 13 პროფესორის (მათ შორის ერთი ფრანგი პროფესორის) ავტორობით. „პროექტი მოიცავს ჟურნალიზმის ყველა მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც კი წამოჭრილა დაფუძნებიდან მოყოლებული მისი განვითარების ყველა საფეხურზე. ამ წიგნის მიზანია, შეაძლებინოს სტუდენტს – ჩასწავდეს თავისი პროფესიის ევოლუციას საქართველოს განსაკუთრებულ კონტექსტში“, – აღნიშნავს ფრანგი პროფესორი ტერი კომი წიგნისთვის დართულ რეცენზიაში.

პრეზენტაციაზე სახელმძღვანელოს შექმნის იდეისა და გაწეული სამუშაოების შესახებ საინტერესო ისაუბრა პროფესორმა მარინე ვეკუამ. მან საზოგადოებას ავტორთა ჯგუფის ყველა წევრი გააცნო და წიგნის სტრუქტურასა და შინაარსზეც ისაუბრა. სახელმძღვანელოს რეცენზენტების შეფასებების გახმოვანებით პროფესორმა წიგნის ღირებულებასა და მასშტაბურობას გაუსვა ხაზი.

სახელმძღვანელოს შესახებ აზრი გამოთქვას პროფესორებმა: ნათია კვიციანიძემ, მათა მიქაშვილმა, თამაზ ჯოლოგუამ,

დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჟურნალისტიკის როლს ქართულ დემოკრატიის განვითარებაში ჟურნალისტიკის პროფესორი, საერთაშორისო მედიის პროგრამის დირექტორი რიკ როქველი (აშშ, ამერიკული უნივერსიტეტი), რომელიც საკუთარ აზრს გვიზიარებს ამ წიგნთან დაკავშირებით: „იმის კვლადკვალ, თუ როგორ მწიფდება ქართული დემოკრატია და როგორ გამგვირვალობას იძენს მთავრობა და მოვლენები, ჟურნალისტიკა უფრო ბეჯითად უნდა იმოქმედონ... ეს წიგნი დახმარება მათ ამ მნიშვნელოვან საქმიანობაში“.

წიგნის ღირებულების შესახებ საუბრობს წიგნის ერთ-ერთი რეცენზენტიც, ფილოსოფიის დოქტორი მარკო ბორსოტი: „ჟურნალისტიკა და, კერძოდ, თავისუფალი ჟურნალისტიკა დღეს, როგორც არასდროს, საჭიროა დემოკრატიის პრინციპების დასაცავად. დარწმუნებული ვარ, სახელმძღვანელო სტუდენტებს დიდად შეუწყობს ხელს მიიღონ ისეთი ცოდნა, რაც აუცილებელია მათ კეთილსინდისიერ

„მოგზაურობა წმინდა ქალაქს იერუსალიმსა და წმინდა ათონის მთაზე“ – წიგნის წარდგინება

ნატო ობოლაძე

თსუ-ში ეპისკოპოს პეტრე კონჭოშვილის (1836-1909 წწ.) წიგნის „მოგზაურობა წმინდა ქალაქს იერუსალიმსა და წმინდა ათონის მთაზე“ პრეზენტაცია გაიმართა. მეუფე პეტრე წმინდა მიწაზე და ათონის მთაზე 1899 წელს იმოგზაურა და თავისი შთაბეჭდილებები ცალკე წიგნად 1901 წელს გამოსცა. შემდგომში მისი „მოგზაურობის წიგნი“ რეპრინტული წესით გამოიცა XX საუკუნის მიწურულს, 2010 წელს კი – სტამბურადაც. იგივე წიგნი 2014 წელს ინგლისურ ენაზე ითარგმნა და გამოსცა „გეორგიას პრესს“-მა აშშ-ში. ახალი გამოცემა გამორჩეულია, რადგან პირველად იბეჭდება კომენტარებით და ფოტო-ილუსტრაციებით,

რომელიც ისტორიკოსმა ვაჟა კიკნაძემ დაურთო.

„პეტრე კონჭოშვილი არც თუ ისე ცნობილია ქართულ საზოგადოებაში და საეკლესიო წრეებშიც მისი სახელი ახლანდელ-ნელა იკიდებს ფეხს, მიუხედავად იმისა, რომ მას ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის არამარტო ქართული ეკლესიის, არამედ ქართული კულტურის წინაშე. ჩვენს ოჯახში ინახებოდა მისი ნაწერი, რომელიც მან ჩემს ბაბუას მიხეილ საყვარელიძეს მიწერა და რომელშიც მამის გარდაცვალების შესახებ ატყობინებდა. პეტრე კონჭოშვილის პიროვნებით სწორედ ამ წერილის წაკითხვის შემდეგ დავინტერესდი. იგი თავისი პერიოდის დიდი მოღვაწეა, მან შეასწორა მოსეს ხუთწიგნული, რომელიც 1896 წელს „მოამბეში“ დაიბეჭდა. პეტრე კონჭოშვილის შე-

სახებ ინფორმაციის მოძიება მარტივი არ გახლდათ, რადგან ყველაფერი ერთ ფონდში კი არ არის გაერთიანებული, არამედ გაბნეულია. მინდა ვითხრა, რომ მისი დაბადების თარიღი დღემდე ზუსტად ვერ დავადგინე“, – განაცხადა პროფესორმა ვაჟა კიკნაძემ.

მეუფე პეტრე კონჭოშვილის წიგნში „მოგზაურობა წმინდა ქალაქს იერუსალიმსა და წმინდა ათონის მთაზე“ აღწერილია წმინდა ადგილები პალესტინას, სინისა თუ ათონის მთაზე და ყურადღება გამახვილებულია ქართულ ტაძარ-მონასტრებზე, საქართველოს ისტორიაზე, ლიტერატურასა და ა.შ.

„არიან ადამიანები, რომლებიც უფრო ნაკლებად არიან ცნობილი საზოგადოებაში, ვიდრე ისინი იმსახურებენ. პეტრე კონჭოშვილი იყო ძალიან



ცნობილი, ძალიან განათლებული და გავლენიანი სასულიერო პირი XX საუკუნის დასაწყისში. მას მიღებული ჰქონდა აკადემიური განათლება, იყო კირიონ II-ს მეგობარი. სამწუხაროდ, მრავალი მისი ნაღვაწი დღეს დაკარგულია. გარდა იმისა, რომ იყო საეკლესიო მოღვაწე, გახლდათ არაჩვეულებრივი მწერალიც და დღეს სწორედ ერთ-ერთი მისი ამგვარი

მწერლობის მოღვაწეობის პროდუქციას წარვადგენთ. დღევანდელი პუბლიკაცია გამოირჩევა იმით, რომ მას ახლავს ძალიან მაღალი დონის გამოკვლევა-შესავალი, კომენტარები, რომელიც ავტორის ისტორიკოსი, პროფესორი ვაჟა კიკნაძე. ეს ყველაფერი გვადლევს იმის თქმის უფლებას, რომ დღევანდელი ისტორიკოსებისა და მკვლევრებისათვის, რომლებსაც აინტერესებთ საქართველოს ისტორია და ქართული ეკლესიის ისტორია, უდავოდ მშვენიერი შენაძენი გახლავთ“, – აღნიშნა თსუ-ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა ზურაბ გაიბარაშვილმა.

პეტრე კონჭოშვილის წიგნის „მოგზაურობა წმინდა ქალაქს იერუსალიმსა და წმინდა ათონის მთაზე“ – პრეზენტაცია 10 აპრილს გაიმართა.



უკვე მეოთხედ მონაწილეობა მსოფლიო მარათონში



თამარ ღაღინი



მსოფლიო სპორტის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური საქველმოქმედო ღონისძიება – მსოფლიო რბენა – 7 მაისს კახეთში გაიმართება. მასში მონაწილეობას მიიღებს 6 კონტინენტი, 24 ქვეყანა, 25 ლოკაცია და 100 ათასზე მეტი მორბენალი. მსოფლიო რბენას უკვე მე-4 წელია საქართველოც უერთდება. საქველმოქმედო აქციაში მონაწილეობის საშუალება აქვს 18 წლის ზემოთ ნებისმიერ მოქალაქეს.

მსოფლიო რბენის არსი იმაში მდგომარეობს, რომ არ არის განსაზღვრული სარბენი მანძილი და დრო, არ არსებობს ტრადიციული ფინიშის ხაზი. აქციას ეყოლება ორი გამარჯვებული – ერთი ქალი და ერთი მამაკაცი, რომლებიც თავად აირჩევენ – თუ მსოფლიოს რომელ წერტილში მიიღებენ მონაწილეობას 2018 წლის ღონისძიებაში.

ამ დღესთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს მსოფლიო რბენის „Wings for Life“-ის ფონდის დამფუძნებელი ჰაინც კინიგადნერი ეწვია. იგი ცნობილი ათლეტი, 1984 და 1985 წლების მსოფლიო ჩემპიონი მოტოკროსში და მრავალი ტურნირის გამარჯვებულია. 2003 წელს, შვილის ტრაგიკული შემთხვევის გამო, რომელსაც ესპორტობო დახმარება, მეგობართან დიტრის მატეშიტთან ერთად, „Wings for Life“-ის ფონდი ჩამოაყალიბა.

ფონდი „Wings for Life“ წარმოადგენს ზურგის ტვინის

დაზიანებების კვლევის საერთაშორისო არაკომერციულ ფონდს. მისი მისიაა ზურგის ტვინის დაზიანებების განკურნების საშუალებების პოვნა. ფონდი მთელი მსოფლიოს მასშტაბით აფინანსებს საერთაშორისო კლასის სამეცნიერო კვლევებს და კლინიკურ ცდებს, რომლებიც მიზნად ისახავს ზურგის ტვინის დაზიანებების განკურნებას.

ჰაინც კინიგადნერთან შეხვედრას თსუ-ს რექტორის მოადგილე მიხეილ ჩხენკელი, მსოფლიო მარათონის კეთილი ნების ელჩები საქართველოში და დაინტერესებული სტუდენტები ესწრებოდნენ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ შეხვედრაზე ფონდის წარმომადგენლებმა და კეთილი ნების ელჩებმა ისაუბრეს მსოფლიო მარათონის ისტორიასა და მნიშვნელობაზე, თითოეული მონაწილეს წვლილზე საქველმოქმედო ღონისძიებაში.

თსუ-ს რექტორის მოადგილის მიხეილ ჩხენკელის განცხადებით: „მსოფლიო მარათონში მონაწილეობა თითოეული ჩვენგანის ადამიანური ვალია. ამით ჩვენ ხელს შევუწყობთ იმ სამეცნიერო კვლევებსა და ცდებს, რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ზურგის ტვინის დაზიანების განკურნებას. მიხარია, რომ ამ პროექტში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აქტიურადაა ჩართული. 1000-მდე უნივერსიტეტულმა უკვე დაუჭირა მხარი, საკუთარი მონაწილეობით, მსოფლიო აქციას. ჩვენი სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები წელს უკვე მეოთხედ მიიღებენ მონაწილეობას მსოფლიო მა-

რათონში და ამით კიდევ ერთხელ დაამტკიცებენ, რომ დაუძლეველი არაფერია“.

ფონდის დამფუძნებელმა ჰაინც კინიგადნერთან მადლობა გადაუხადა ქართულ მხარეს პროექტის მხარდაჭერისთვის და აღნიშნა, რომ 2017 წელს მსოფლიო რბენა საქართველოში სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ორგანიზებით Check in Georgia-ს ფარგლებში ტარდება. „ეს პროექტი ჩვენი ფონდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიღწევაა. World Run-ის მიზანია დაეხმაროს ადამიანებს, რომელთაც ზურგის ტვინის დაზიანება აქვთ. ეს ნიშნავს, რომ პროექტი არის ყველასთვის, რადგან ამ დაზიანებების 50% ხდება ქუჩაში, ავტოსაგზაო შემთხვევების დროს და მისგან დაზღვეული არავინაა. ამ შემთხვევაში სირბილი არ არის მხოლოდ ჩამრთველობა, ეს არის, პირველ რიგში, კარგი საქმე და დახმარების გაწევა ამ დაზიანების მქონე ადამიანებისთვის“, – აღნიშნა „Wings for Life“-ის ფონდის დამფუძნებელმა ჰაინც კინიგადნერთან.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2017 წელს, Check in Georgia-ს ფარგლებში, საქართველო უმასპინძლებს 13 საერთაშორისო-სპორტულ ღონისძიებას, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა ქართული სპორტის ისტორიაში. ყველა ეს ღონისძიება თუ ასპარეზობა იმავე მიზანს ემსახურება, რასაც Check in Georgia – მეტი ადამიანი ჩამოვიდეს ჩვენს ქვეყანაში, მიიღოს პროფესიული გამოცდილება, დაისვენოს და საკუთარი უოფენა საქართველოში მონიშნოს მსოფლიო რუკაზე. წელს, მხოლოდ სპორტული

ღონისძიებების ფარგლებში საქართველო 70-მდე ქვეყნის უამრავ ვიზიტორს ელის.

„უკვე მეოთხე წელია, რაც ეს გარბენი არსებობს. წინა სამ მარათონში მივიღე მონაწილეობა და წელსაც ვაპირებ სირბილს. ჩვენ, ჩამრთველ ხალხს, ვისაც არ გვაქვს ზურგის ტვინის ტრავმა, შეგვიძლია ჩვენი წვლილი შევიტანოთ ამ დიდ პროექტში და დავეხმაროთ მათ, ვისაც ეს პრობლემა აწუხებს“, – განაცხადა თსუ-ის სტუდენტმა რატი გელაშვილმა.

ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა მერაბ დუკაშვილმა ხაზი გაუსვა აქციის საქველმოქმედო მიზნების მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ „ეს პროექტი მნიშვნელოვანია იქიდან გამომდინარე, რომ ჩამრთველი ცხოვრების წესის დანერგვა ხდება. ამავე დროს, ეს შეჯიბრი არის საკუთარი შესაძლებლობების გამოცდა. მაგრამ ყველაზე უმთავრესია, რომ ჩვენ, ყველანი, ქველმოქმედებას ვეწეოთ და საკმაოდ დიდ საქმეს ვაკეთებთ – ვეხმარებით იმ პრობლემის მოგვარებას, რასაც ზურგის ტვინის დაზიანება ჰქვია“, – აღნიშნა მერაბ დუკაშვილმა.

მსოფლიო რბენაში მონაწილეების აქტიური ჩართულობა და ყოველ წელს ღონისძიების პოპულარობის გაზრდა, სხვა გარემოებებთან ერთად, მსოფლიო რბენის კეთილი ნების ელჩების დამსახურებაც არის. ისინი მსოფლიო რბენის პროექტს ხალხის ყურადღების მიპყრობაში ეხმარებიან. საქართველოში კეთილი ნების ელჩები არიან ცნობილი სპორტსმენები: სეულის ოლიმ-

პიადის პრიზიორი სირბილში მაია ახარაშვილი (ამავდროულად ღონისძიების სპორტული დირექტორი), კალათბურთელები: კოტე ტულუში და რეზი როგავა, ძიუდოსტი ვარლამ ლიპარტელიანი, 2015 წლის საუკეთესო სპორტსმენი – მოჭიდავე ვლადიმერ ხინჩეგაშვილი, მრბოლელი მეველუდ მელაძე, მოთხილამურე ივა წიკლაური, მორაგებები: ვასილ ლობჯანიძე და ბაჩო კოლელიშვილი, პარაოლიმპიელი ირმა ხეცურიანი და სხვები.

მსოფლიო პროექტში აქტიურად არიან ჩართულნი არა მარტო სპორტსმენები, არამედ ცნობილი ადამიანებიც: ინტელექტუალი გიორგი ბაქრაძე, მუსიკოსები: აჩიკო გულუდანი, ნიკა კობაროვი და ელენე კალანდაძე, ჟიურჯი და გადაცემა „ექიმების“ წამყვანი ლევან ხარაშვილი, ნიროქიურჯი ბუბა შალაბერიძე, ნიკა გრიგორია, ქეთი ხატიაშვილი, დავით ჭაცარავა, ირაკლი კაკაბაძე, ნინუცა მათაშვილი და სხვები.

მსოფლიო რბენაში მონაწილეობის მსურველთა რეგისტრაცია 21 მარტს დაიწყო ვებ-გვერდზე www.wingsforlifeworldrun.com და 4 მაისს 15⁰⁰ საათზე დასრულდება. საქართველოში მონაწილეობის ღირებულებაა 30 ლარი. ღონისძიებიდან შემოსული თანხა სრულად გადაერიცხება „Wings for Life“-ის ფონდს.

7 მაისს საქართველო მსოფლიო ტურისტულ რუკაზე კიდევ ერთხელ დაფიქსირდება, რომელიც საერთაშორისო სტანდარტის სპორტული და კულტურული ღონისძიებების გამართვის ადგილი.

სტუდენტურმა თეატრმა სპექტაკლი „ბერნარდა ალბას სახლი“ დადგა



ნაბო ობოლაძე

12 აპრილს სტუდენტური თეატრის „სხვერის“ დასმა ესპანელი დრამატურგის ფედერიკო გარსია ლორკას პიესის მიხედვით სპექტაკლი „ბერნარდა ალბას სახლი“ დადგა. „ბერნარდა ალბას სახლი“ ფედერიკო გარსია ლორკას ბოლო პიესაა, რომლის გამოქვეყნებიდან ორ თვეში იგი დახვრიტეს. მოქმედება ესპანეთის ერთ-ერთ ოჯახში, ბერნარდა ალბას მეორე ქმრის გარდაცვალებიდან მეორე დღეს ვითარდება: მისი ხუთი ქალიშვილი დედის ავტოკრატის ქვეშ იმყოფება; თავის მხრივ, ბერნარდა ალბა სოფლის იდეოლოგიის სრულზე გაგვლენას განიცდის და ოჯახის ავტორიტეტის შენარჩუნებას ქალიშვილების სრული გამოკეტვით ცდილობს; თითოეული მათგანი ოცნებობს თავის უფლებებზე, თავისუფლე-



ბა კი მათთვის გათხოვებასთან ასოცირდება, გამონაკლისი არც ბერნარდა ალბას 80 წლის დედაა; თავისუფლების სურვილი დედის ნების გაუთვალისწინებლობის შიშს, ოჯახში კონფლიქტს, ქალიშვილებს შორის დაპირისპირებას და, უფრო



მეტიც, მოსამსახურესთანაც კი მუდმივ ჩხუბს იწვევს. ტრაგედია მას შემდეგ ვითარდება, რაც კონფლიქტი ერთი მამაკაცის გამო იწვევა, რომელიც პიესაში ფიზიკურად არ ჩანს. შედეგად ბერნარდა ალბა კარგავს უმცროს ქალიშვილს – ადელას, ერთადერთ პიროვნებას, რომელიც დედის ავტოკრატისა და სოფლის იდეოლოგიას არ შეეგუა.

ფედერიკო გარსია ლორკა წერდა, რომ პიესაში აღწერილი ამბავი რეალურია. სპექტაკლის აღდგენა თეატრში „სხვენი“ დასის მსახიობმა ქვეყნის ოქუაშვილმა გადაწყვიტა, რადგან პრობლემა, რომელიც პიესაში ავტორმა აღწერა, დღესაც არ კარგავს აქტუალობას. ქეთევან ოქუაშვილმა სპექტაკლში ბერნარდა ალბას


როლი შეასრულა, რომელსაც წარმოდგენის დასრულების შემდეგ გავესაუბრეთ: „არსებობს მაყურებელი, რომელიც მოვა და მხოლოდ საპნის ოპერას დაინახავს – ხუთი ქალის ისტორიას, რომელიც სახლში გამოკეტული ცხოვრობს. თუმცა, ასევე არსებობს მაყურებელი, რომელიც უფრო ღრმად ჩაიხედავს და აღმოაჩინოს დიქტატურის რეალურ გავლენას ადამიანებზე და მის ტრაგიკულ შედეგებს“.

„ბერნარდა ალბას სახლი“ სტუდენტურმა თეატრმა „სხვენი“ განახლებული შემადგენლობით წარმოადგინა. ბერნარდა ალბას მსახურისა და ქალიშვილების როლი სალომე ბადაგაძემ, ელენე ჩხეიძემ, თეო ცუცქერიძემ, თათა მირიანაშვილმა, სალომე ჭონიშვილმა, მელა სვანიძემ, მარიამ ვარდიაშვილმა და თაკო ძიძიკაშვილმა შეასრულეს. სპექტაკლის რეჟისორი გიორგი გომურაშვილი გახლდათ.

გახსენება

უნივერსიტეტი მისა ჯეშარიბა მოამაზე დაბოზა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი თავის ერთ-ერთ უკეთეს ღირსეულ პროფესორს ეთხოვება, ჰეშარიბა ქარტველს, გამორჩეულ ადამიანსა და პიროვნებას, თაობების აღმზრდელს. ეს გამოთხოვება ძალზედ სევდიანია, ვინაიდან უნივერსიტეტი მისი ჰეშარიბა მოამაგე ტოვებს. „მრავალნი არიან ჩინებულნი და მცირედნი რჩეულნი“, – ეს სიტყვები სახსრებით უსადაგება ბატონი თენგიზის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მოამაგე ტოვებს. ამ პათოსით იცხოვრება. ამ პათოსით ემსახურება თავის ქვეყანას და მის უპირველეს უნივერსიტეტს. მიუხედავად უმძიმესი პირადი ტრაგედიისა, არ გატეხილა, არასოდეს შეუწყვეტია თავისი პროფესიული მოვალეობის შესრულება, არ უღალატია კოლეგებისა და სტუდენტებისთვის. სტუდენტები... მათი ცრემლი განსაკუთრებით ძვირფასია ბატონი თენგიზისათვის – 1993 წელს სწორედ მათი კბილა ვაჟი, საქართველოს სახელით დაღუპული რატი კიკაჩივილი მიიხატა მიწას. არავინ დაუმძიმებია თავისი დარდი და მხოლოდ წლების შემდეგ, მხატვრულ-დოკუმენტურ თხზულებაში „მარადის არის წიგნი“ პირველად გამოხატა პიროვნული და ეროვნული ტკივილით გაჯერებული



სტუდენტის ხოგიეროს – ეროვნული ხის ფესვებისადმი ურწმუნოება. ამ პათოსით ემსახურება თავის ქვეყანას და მის უპირველეს უნივერსიტეტს. მიუხედავად უმძიმესი პირადი ტრაგედიისა, არ გატეხილა, არასოდეს შეუწყვეტია თავისი პროფესიული მოვალეობის შესრულება, არ უღალატია კოლეგებისა და სტუდენტებისთვის. სტუდენტები... მათი ცრემლი განსაკუთრებით ძვირფასია ბატონი თენგიზისათვის – 1993 წელს სწორედ მათი კბილა ვაჟი, საქართველოს სახელით დაღუპული რატი კიკაჩივილი მიიხატა მიწას. არავინ დაუმძიმებია თავისი დარდი და მხოლოდ წლების შემდეგ, მხატვრულ-დოკუმენტურ თხზულებაში „მარადის არის წიგნი“ პირველად გამოხატა პიროვნული და ეროვნული ტკივილით გაჯერებული

ფიქრები შვილზე, საქართველოს წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე, პირველად ახადა ფარად იდუმალებით მოხილ ადამიანურ განცდებებს. მის ლექციებზე ტევა არ იყო! ვერ თავსდებოდა სტანდარტებში, ვერაფრით ეტეოდა ჩარჩოებში – ყოველი შემდეგი ლექცია ახალ იმპროვიზაციებს მოასწავებდა, მიმართულს მისთვის ესოდენ ძვირფასი სამყაროსაკენ, რომელსაც ლიტერატურა ერქვა. უაღრესად პროდუქტიულად მუშაობდა. მის მონოგრაფიებს, ცალკეულ ნარკვევებსა და სტატიებს სათანადო ღირებულება ჰქონდათ და აქვთ მათთვის, ვისაც ლიტერატურის თეორიისა და ქართული ლიტერატურის პრობლემები აინტერესებს. მისი ნაშრომები ქართველი კლასიკოსი მწერლების ი. ჰავჭავაძის, აკ. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ალ. ჯაბუგის, კ. გამსახურდიას, გ. ტაბიძის და სხვათა შემოქმედების შესახებ სამაგიდო წიგნებია. არც აქ სცნობდა სტანდარტებს: მნიშვნელოვან ლიტერატურულ პრობლემებთან ერთად თავის ფიქრებს იდებს ისტორიას იკვლევდა, მისი გამოვლინების ტრადიციულ და განსხვავებულ ხერხებს, რაც არსებითი იყო მისთვის არამარტო როგორც მეცნიერის, არამედ როგორც ადამიანისათვის... ბევრი ტკივილი იწვნია: დევნა, პოლიტიკური ბატონობა,

გაძევება უნივერსიტეტიდან... გასულ წელს ბოლო გზაზე გადავიდა თავისი სიყვარული – საოცრად სათნო მუხლი, ქალბატონი ჯილა, შემდეგ კი – ერთადერთი ძმა. თუკი რატის ხსოვნა სახლის კედელზე დახატულ კომპოზიციაში ამოკვეთა, ქალბატონი ჯილა უნაზესი ლექსებით დაემშვიდობა. მან იცოდა ტკივილის გემო, თუმცა სიხარულის გემოც იცოდა. და ეს სიხარული ჯერ შვილიშვილები – ანი და სალომე, სულ ახლახანს კი შვილთაშვილები – ცისფერთვალა ბარბარე, დემეტრე და პატარა რატიკო იყვნენ. მოახლოებულ დასასრულს თავადაც გრძნობდა, მაგრამ, ჩვეული სიკიუტით იკრებდა ძალებს და მინც მიუყვებოდა უნივერსიტეტის დერეფნებს, მინც შედიოდა აუდიტორიაში, რათა გატაცებით ესაუბრა ლიტერატურაზე, ფერწერაზე, თავისუფლებაზე, ადამიანურ ურთიერთობებზე, ვინაიდან მისი მიზანი არასოდეს ყოფილა მხოლოდ პროფესიონალების აღზრდა, არამედ – ადამიანების, კარგი ქართველების აღზრდა. სრულიად გაეთერებული და ჯიხუე დაჟინებული პროფესორის ლექციები ორმხრივად შეთანხმებულ რიტუალს წააგავდა: ის კიდევ ერთხელ შეიგრძნობდა ახალგაზრდებთან ურთიერთობით მოგვრილ ბედნიერებას, ხოლო ახალგაზრდები

კიდევ ერთხელ უსმენდნენ სალექციო კათედრასთან მდგომ ნამდვილ პროფესორს – ღირსეულს, სინდისიერს, პირნათელს თავისი ქვეყნისა და ოჯახის, მოწყვებებისა და სტუდენტების წინაშე. იგი თავის სახლიდან დაემშვიდობა საყვარელ ოჯახს, სტუდენტებს, კოლეგებს, მათ, ვის აღზრდასაც ათეული წლები შეაღო და ვისაც, ლიტერატურის საფუძვლებთან ერთად, ადამიანური ურთიერთობების ხიბლი ასწავლა. დაკრძალვასთან დაკავშირებული გაუგებრობებიც მისი ქარიშხლისა და ბიოგრაფიის ნაწილად იქცა... მას ჰქონდა რეგალიები: დაჯილდოებული იყო ივ. ჯავახიშვილის მედლით, ღირსების ორდენით, საქართველოს პრეზიდენტის ბრწყინვალეობის ორდენით, მაგრამ მთავარი მისი რეგალია იყო კაი-ქომბა, რომელსაც ვერც ერთი სახელმწიფო და ვერც ერთი მთავრობა ვერც ერთ დროში ვერ მიანიჭებს ადამიანს – არამედ მხოლოდ უფალი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თეორიული და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

პროფესორი ოთარ სალარიშვილი 90-ის გახდებოდა

ჩემი ძვირფასი მასწავლებლისა და უფროსი მემოზრის ნათელ ხსოვნას

არიან ადამიანები, ღვთის ნიჭით გაძლიერებული, რომლებიც თავს სიყვარულს, სათნობას, ქმნიან, აშენებენ, თვითონ იწვიან და სხვას გასაუბნებენ (ილია II). ასეთ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნებოდა უდავოდ ქართველ მამულიშვილთა ერთერთ სამეცნიეროში – დიდ ჩიხაიშვილს 1927 წლის 11 აპრილს დაბადებული ბატონი ოთარ სალარიშვილი. მან როგორც უნივერსიტეტი და შრომის მოყვარე ახალგაზრდამ, სწავლისა და მეცნიერული წრეების უკვლავ ეტაპი დიდი წარმატებით განვლო და 1970 წელს გახდა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, 1971 წელს – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ხოლო 1995 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე თსუ-ის მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და შრომის ეკონომიკის კათედრის გამგე იყო. პროფ. ოთარ სალარიშვილს გამოკვეთული ჰქონდა 300-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 10-მდე მონოგრაფია, 6 სახელმძღვანელო ქართულ, რუსულ, სომხურ, პოლონურ ენებზე. მისი უშუალო ხელმძღვანელობით გამოიცა გერმანულ-ქართული ეკონომიკური ლექსიკონი, ასევე დროის მოთხოვნის შესაბამისი სასწავლო კურსები და პროგრამები. მისი ნაშრომებიდან 50-მდე აგრარულ საკითხებს ეძღვნება, რომელთა შორის სტუდენტთა პროფესიულ აღზრდაში დიდად მისი სახელმძღვანელოს – „სოფლის მეურნეობის ეკონომიკა“, როლი.

მთლიანობაში, პროფ. ოთარ სალარიშვილის მეცნიერულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებები იყო: აგრარული ეკონომიკის პრობლემები, წარმოების ეკონომიკის, ორგანიზაციისა და მართვის მეთოდები, მათემატიკური მეთოდები ეკონომიკაში, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ



რი პრობლემები, შრომითი რესურსების მრავალფაზიანად გამოყენების საკითხები, ბიზნესის ორგანიზაცია, მართვა და მრავალი სხვა. თსუ-ში წარმატებულ მეცნიერულ-პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად, იგი აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტთან, სოფლის მეურნეობის წარმოება-ორგანიზაციის კვლევით ინსტიტუტთან, ქ. მოსკოვის შრომის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან, ხანგრძლივად მიწვეული იყო პროლონეთის ქ. ლოძის უნივერსიტეტის ლექციების წასაკითხად. იგი იყო 30-მდე ასპირანტისა თუ ხარისხის მაძიებელთა მეტად გულისხმიერი და მაღალკვალიფიციური ხელმძღვანელი, მისი უწყვეტად უკვლავ დაიცვა კანდიდატის თუ დოქტორის ხარისხი.

საგანგებოდ აღსანიშნავია ბატონ ოთარის ეროვნული პათოსით აღსავსე პუბლიკაციები: „აგრარული ეკონომიკა“, „ეროვნული მეურნეობის სამომავლო ამოცანები“, „მაღე გასაუბნად არაფერი დაგვრჩება“ და მრავალი სხვა, რომლებშიც იგი გა-

ნიხილავდა ეროვნული ცნობიერების გაძლიერების ქართული იდეოლოგიის დამუშავების აუცილებლობას, ახალი სამართლებრივი სახელმწიფოსა თუ საზოგადოების მშენებლობის სამეურნეო მექანიზმების ფორმირებისა და საზაზრო ეკონომიკის მოთხოვნებთან მისი შესატყვისობის მწვავე და აქტუალურ საკითხებს. ბატონი ოთარი ის მოღვაწე იყო, რომელიც იმთავითვე მისდევდა კაცობრიობის მარადიული წიგნის – ბიბლიის აღთქმას: „კაცს თავისი ქედმაღლობა დაიმდაბლებს, თავმდაბალი კი დიდებას მოიხვეჭს“. იგი უხმაუროდ, რუდუნებით მუდამ აკეთებდა ქვეყნისათვის სასიკეთო საქმეებს. რომ არაფერი ვთქვათ მის მეცნიერულ მონოგრაფიებზე, მე ვიცნობ მის არაერთ სამთავრობო ბარათს, ჰეპირ გამოსვლას მიდღვნის ქვეყნის სოფლის მეურნეობის თუ მთლიანად ეკონომიკის განვითარების, ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის ახალი გზების ძიებისადმი, ქართული სოფლის გადარჩენის, მისი ახლებურად წარმართვის თუ აგრარული რეფორმისადმი. არაერთ მაღალი დონის შეკრებაზე, ბატონი ოთარი გულანთებულიც და ალტაცებულიც მიწახვას ქვეყნისათვის სასიკეთო გადაწყვეტილებათა მიღების გამო, მაგრამ ვაი, რომ უფრო ხშირად იგი გულდაწყვეტილი და აბოზოჭებულიც ყოფილა მავანთა გამრუდებულ, არაკომპეტენტურ და მავნებელურ გადაწყვეტილებათა გამო. ასეთი დაუცხრომელი და აქტიური იყო მისი პოზიცია ყველგან და მუდამ.

საქართველო, დედაუნივერსიტეტი, ახალგაზრდობა, ოჯახი იყო მისი დიდი სიყვარული, ამქვეყნიური ცხოვრების არსი, რისთვისაც მას არასოდეს უღალატია. გამოჩეულიად თბილი, მიმდობი და მიმტევებელი პიროვნება იყო. მას, არაერთგზის, სრულიად დაუმსახურებლად

უმუხთლეს, გული ატკინეს, თანაც იმით, რომელთაც გვერდში ედგა და მეგობრებად რაცხდა... თუმცა, იგი არ გაბოროტებულა, პირიქით, „ხეციური ღმერთი შეუნდობოს“, სულ ეს იყო მისგან თქმული „საყვედური“.

ვინც მოწაფედ არ ყოფილა, ის მოძღვარი არ იქნებაო“, არც ამ ბრძნულ სენტენციას უღალატა ბატონმა ოთარმა. ამასთან, მას ბედმა ჰეშარიბად გაუღიმა – მეცნიერებაში მისი პირველი მასწავლებელი და გზის გამკვალავი დიდი ნიკო იყო, ბრწყინვალე მეცნიერი და უებრო ქართველი, უკვლასათვის საყვარელი და ძვირფასი ბატონი ნიკო იაშვილი. და თუ ბატონ ოთარს დიდი ნიკო წინამძღვრობდა, მე უფრო დიდი ბედნიერება მერგო წილად – ერთდროულად ორივე ჩემი მასწავლებელი იყო: ბატონი ნიკო, უკვე საკმაოდ ჰარმაგი, მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერი და პედაგოგი, რომელიც ჩვენი ნაკადის სპეციალის – სოფლის მეურნეობის ეკონომიკის ლექციების გამწვანებელი – საქართველოს სიყვარულში უხვად და ოსტატურად ახავებდა და ბეგრევი, ახარტში შესულს, სალექციო თემა დაუწყებია, განზე გადაუღვია – თქვენ ამას ჩვენი მოწაფე ბატონი ოთარიც კარგად აგისხნით, სამშობლოს სიყვარულის ახსნა მე მაცალეთო; და ბატონი ოთარიც, თუმცა სრულიად ახალგაზრდა, ასპირანტურა ახალდამთავრებული, უახლესი ლიტერატურითა და უხვი მასალით გაჯერებული ლექციებს შთანთქმავდავად, გამოზრდილი პროფესორის ოსტატობით გვიკითხავდა.

ჩვენ იმთავითვე მოწიწებით განვეწყეთ ახალგაზრდა ლექტორისადმი, რასაც ბატონი ოთარის ერუდიციასა და განსწავლულობასთან ერთად, ხელი შეუწყო მისი და ჩვენი დიდი მასწავლებლის ბატონი ნიკო იაშვილის უაღრესად თბილმა და მაღალმა შეფასებამ ბატონი ოთარის მრავალი ღირსებისა, რაც ასე დაას-

რულა: „უკვლავერში მიბადეთ ამ ახალგაზრდა იმერულს და თურაიმე ნაკლი აღმოუჩინეთ, მხოლოდ მე გამაძინეთ“.

დიდი მასწავლებლის გასამხელად ღირებული ნაკლი ბატონ ოთარის ვერაფერი აღმოუჩინეთ, ღირსება კი ბევრი: ღრმა პროფესიონალიზმი, ცოდნით დატვირთული მორაკრაკე ფრაზეოლოგია, ობიექტურობა, სამართლიანობა, გარემოებათა გონივრული განსჯა, თვითდაოკება, სხვისი ნიჭის და თავდადების დაფასება, ღირსეულთა შექება და გასაცდენილთა გვერდით დგობა.

ბატონი ნიკო იაშვილის სიმაღლეს მე ვერ შევწვდებოდი, და თუ არ მიწყენს ბატონი ოთარის სული, მაშინაც და მერგო ყოველთვის ვცდილობდი მიმეზადა მისთვის. და თუ რაიმეს მივალწვი, მეცნიერების ისეთ გიგანტებთან ურთიერთობით, როგორც იყვნენ აკად. პაატა გუგუშვილი, ვასილ ჩანტალიძე, ნიკო იაშვილი, მეტად წონადია ბატონი ოთარის წვლილიც.

და ერთიც, ბრძენს უთქვამს „ღირსეული დედაკაცი ქმრის გვირგვინიაო“. ქალბატონ იუზა ნადარევიშვილის სახელით ეს ღირსებაც ამკობდა ყოველთვის ბატონ ოთარს, ამიტომაც გაიმარჯვეს მათ, შესანიშნავი შვილებიც აჩუქეს ქვეყანას... დასასრულს, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ბატონი ოთარი დიდად დააკლდა თავის ოჯახს, დედაუნივერსიტეტს, ქართველ ინტელიგენციას, სრულიად საქართველოს. თუმცა, ბიბლიური სენტენციაა – „გარდაცვალება სიკვდილია ცოდვილთათვის, განწმენდილთათვის – მარადიულობის დასაწყისი“, – გვანუგეგმებს.

რევაზ გოგობია, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, უფროსი „ეკონომიკა და ბიზნესის“ მთავარი რედაქტორი



გადაყარე ჩვენთან ერთად!

არაბარბარიზმებს! – ღონისძიება-აქცია



უნივერსიტეტი ისევ პირველია!

აქცია თსუ-მ დაიწყო...

ვილაპარაკოთ ქართულად, ანუ გუთხრათ - არა! - ბარბარიზმებს!

ქართულ ენას დღესაც დაცვა სჭირდება!

საუნივერსიტეტო მოძრაობამ „არაბარბარიზმებს“, თსუ-ს ლექსიკოგრაფიის ცენტრის მრავალმხრივი და ინტენსიური საინფორმაციო კამპანიის წყალობით, სახალხო მოძრაობის სახე მიიღო.



#არაბარბარიზმებს

შემოუერთდი ღონისძიება-აქციას!

გადაგაღე ქართული საქმის ცხელ კვალზე უნივერსიტეტის აქტივობის კიდევ ერთი ისტორიული ფურცელი

19 აპრილს 13:00 საათზე თსუ-ს პირველი კორპუსის სააქტო დარბაზის ფოიეში გაიმართება მოძრაობის „არაბარბარიზმებს“ პირველი ეტაპის შემდგომი ღონისძიება-აქცია.

მოძრაობის ფარგლებში შეგროვდება და დამუშავდება ინგლისურენოვანი ბარბარიზმები და მათი ქართული შესატყვისები, რის საფუძველზეც გამოიცა „ბარბარიზმების ლექსიკონი“. ღონისძიება-აქციის დღის წესრიგშია ლექსიკონის წარდგინება/დარიგება.

ქართული ენის დღესთან დაკავშირებით უნივერსიტეტის მიერ დაწყებული

ბული ჯილდო პირველად გადაეცემა ერთ უფრანლისტს, ერთ საზოგადო მოღვაწეს, ერთ უცხოელ ქართველოლოგს და საქართველოში მოღვაწე ერთ დიპლომატს გამორჩეული ლიტერატურული ქართული ენით მეტყველებისთვის (გამარჯვებულებს გამოავლენს უნივერსიტეტის პროფესორებისგან და საზოგადო მოღვაწეებისგან შექმნილი სპეციალური კომისია).

უნივერსიტეტის ლექსიკოგრაფიული ცენტრი საზოგადოებას წარუდგენს მოძრაობის ფარგლებში შექმნილ „ბარბარიზმების ლექსიკონს“ და განაცხადებს იმ ძირითადი მიმართულებების შესახებ, რითაც მოძრაობა

„არაბარბარიზმებს“ გაგრძელდება მომავალში.

ღონისძიებაზე შეჯამდება ბარბარიზმების წინააღმდეგ მიმართული მისიურების აქცია, რომელშიც მონაწილე 10 გამარჯვებულს გამოავლენენ მოძრაობის ორგანიზატორები. ისინი 10 სხვადასხვა ნომინაციაში დაჯილდოვდებიან.

დასასრულს გაიმართება „ბარბარიზმების გადაყრის“ ცერემონია.

ღონისძიების ორგანიზატორია თსუ-ს ლექსიკოგრაფიული ცენტრი და გახუთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქცია.

- სოციალურ ქსელში შეიქმნა გვერდი #არაბარბარიზმებს, რომელზეც ყოველდღიურად ქვეყნდება ახალი ინფორმაცია, ბარბარიზმების შემცველი სიტყვა-სტატიები, სამეცნიერო-პოპულარული სტატიები ბარბარიზმებთან დაკავშირებულ სხვადასხვა თემაზე.
- მოძრაობაში აქტიურად ჩაებნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პროფესორ-მასწავლებლები;
- თსუ-ს აკადემიური საბჭო აქციის „არაბარბარიზმებს“ მონაწილე გახდა!
- მოძრაობის წევრები გახდნენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი; სკოლების მოსწავლეები და მასწავლებლები.
- მოძრაობას უახლოეს მომავალში შემოუერთდებიან შავი ზღვის უნივერსიტეტი და საპატრიარქოს უნივერსიტეტი, სადაც ქართულ ენაში მიმდინარე პროცესებზე საჯარო ლექციებია დაგეგმილი. საჯარო ლექციებია, ასევე, დაგეგმილი ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში და სხვა.



მთავარი რედაქტორი

ნინო კაკულია

მთავარი სამცხალისტი

მაია ტორაძე

ტექნიკური რედაქტორი

მანანა ჯურხაძე

შურნალისტიკი:

ნატო ობოლაძე
თამარ დადიანი
შურთხია ბეროშვილი

ფოტოკომპიუტერული

ანა ბოლქვაძე

კომპ. უზრუნველყოფა

ზაზა გულაშვილი

რედაქციის წევრები:

რისმაგ გორდეზიანი, იაგო კატკაჭიშვილი, ეთერ ხარაიშვილი, ლადო პაპავა, მანანა შამილოშვილი, თემურ ნადარეიშვილი, ლადო მინაშვილი, მორის შალიკაშვილი, ნინო ჩიხლაძე, გიორგი ჯაიანი, არსენ გვენეტაძე, მარიამ ცისკაძე, ნინო ქალაგანიძე, ირმა რუსაძე

მისამართი:

ილია ჭავჭავაძის გამზ. 13 (თსუ-ის მე-3 კორპუსი)

2 22 36 62

ვებგვერდი:

newspaper.tsu.edu.ge

ელ.ფოსტა:

tsunewspaper@tsu.ge

სამყვანები:

თამარ ჩიქოვანი, იაგო ხაჭავაძიშვილი, რამაზ სამყვანალიძე, გიორგი ანალოძე



უნივერსიტეტი, 19.00 სთ.



უყურეთ!

ყველა სინახლას - აქცენტებით, პრობლემას - განსჯით, ანგელოსა და წარსულს - გადაფასებით გადაცემაში „უნი-ჰარსია“ საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში არხის ეთერში

